მეორე ჯგუფში შემავალი სტაბილიზატორების სქემაში დატვირთვა მიუერთდება მარეგულირებელი ტრანზისტორის კოლექტორის წრედს (კ. მარეგულირებელი ტრანზისტორი მუშაობს კოლექტორული გამოსასვლელით). ასეთ სტაბილიზატორში მარეგულირებელ კლემენტზე ძაბვის ვარდნა თითქმის 5-ჯერად შეცირებული (შეადგენს 0,5 გრ). 2.10 სურათზე ნაწვენებია ერთ-ერთი ასეთი სახის კომპენსაციური სტაბილიზატორის სტრუქტურული სქემა. სქემაში გამოყენებულია ორკოლექტორიანი მარეგულირებელი ტრანზისტორი, რომელთაგან ერთი კოლექტორი წარმოქმნის გამოსასვლელ წრედს, ხოლო მეორე კოლექტორი – დენური გადატვირთვებისაგან დამცავი სქემისათვის დენის გადატვირთვისაგან და შესავალის გადამეტაბეისაგან.

რეგულირებადი სტაბილიზატორების მიკროსქემებს გააჩნიათ ძაბვის გამოყვის მისაერთებელი დამატებითი საკონტაქტო გამომყენი (მეტ გამომყენი). ამის გამო, სტაბილიზატორის ასეთ მიკროსქემას ოთხგამომყენიანი სტაბილიზატორსაც უწოდებენ (სურ. 2. 11, ა). ოთხგამომყენიანი სტაბილიზატორები მირითადად მაშინ გამოიყენებიან, როდესაც აუცილებელია არასტანდარტული სიღიდის გამოსავალი ძაბვების მიღება ან გამოსავალი ძაბვის ზუსტი დაცენტრაცია. სხვა მხრივ ოთხგამომყენიანი სტაბილიზატორი არ განსხვავდება სამგამომყენიანისაგან.



სურ. 2.10. კომუნიკაციური სტაბილიზატორის
სტრუქტურული სქემა მარტივი და კლემტუ მცირე ძაღვის გარღით



სურ. 2.11. რეგულირებადი სტაბილიზატორები
ოთხგამომყანიან 0მს-ზე (ა) და სამგამომყანიან 0მს-ზე (ბ)

ძაბვის ინტეგრალური სტაბილიზატორების მქმ დამოკიდებულია შესავალ და გამოსავალ ძაბვებს შორის თანაფარდობაზე

$$\eta = U_d I_{\text{g}} / (U_d I_{\text{g}}) = U_d / U_d$$

და შესაძლებელია მიიღოს მნიშვნელობები 30%-დან 80%-მდე ფარგლებში.

რეგულირებადი გამოსავალი ძაბვის მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ ოთხგამომყანიანი სტაბილიზატორის საშუალებით, არამედ სამგამომყანიანი სტაბილიზატორითაც, როგორც ეს 2.11, ბ სურათზე ნაჩვენები. ოთხგამომყვანიან სტაბილიზატორში ძაბვის გამოყოფი მიუღერთდება 0მს-ის დამატებით გამომყვანს (2.11, ა სურათზე გამომყვანი 4), ხოლო სამგამომყვანიანში – როგორც ეს 2.11, ბ სურათზე ნაჩვენები. ამ შემთხვევაში გამოსავალი ძაბვა განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით

$$U_d = U_{\text{d},\text{bl}} \left(1 + R_2 / R_1 \right) + I_{\text{d},\text{bl}} R_2 > U_{\text{d},\text{bl}}$$

სადაც $U_{\text{d},\text{bl}}$ – მიკროსქემის ფიქსირებული გამოსავალი ძაბვაა;


$I_{\text{d},\text{bl}}$ – 0მს-ის მიერ კვების წყაროდან მოხმარებული დენი.

2.3.3. უწვევები ქმედების ძაბვის

სტაბილიზატორიანი კვების ბლოკის მაგალითი

ამჟამად უწვევები ქმედების ძაბვის სტაბილიზატორიანი კვების ბლოკები უპირატესად გამოიყენებიან ვოლფმაგნიტორებსა და გადასატანი ტელეფონურების მარტივ მოდელებში. კვების ასეთ ბლოკებს მნიშვნელოვან ღირსებამ ერთად (სიმარტივე, მაღალი საიმედოობა, დაბალი ღირებულება) გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები: დიდი მასა და გაბარიტული ზომები, დაბალი მქე, გაბნევილი მაგნიტური კვლების მიერ შექმნილი დაბრკოლებები.

განვიხილოთ უწვევები ძაბვის სტაბილიზატორიანი კვების ბლოკის სქემოტექნიკური შესრულება ფირმა SONY SLV 262EE ვიდეომაგნიტოფონების კვების ბლოკის მაგალითზე. კვების ბლოკის პრინციპული სქემა 2.12 სურათზეა წარმოდგენილი.



სურ. 2.12. SONY SLV 262EE ვიდეომაგნიტოფონის კვების ბლოკი

კვების ბლოკი შედგნილია კლასიკური სქემის მიხედვით: ტრანსფორმატორი – გამართველი – უწყვეტი ქმედების ძაბვის კომპენსაციური სტაბილიზატორი. სტაბილიზატორის ძირითადი კვანძია IC521 STK5446 ინტეგრალური მიკროსქემა, რომელშიც ინტეგრირებულია მიმღევრობითი ტიპის სამი კომპენსაციური სტაბილიზატორი +5 ვ. +12 ვ და +13 ვ გამოსაცავით დაბეჭით.

+5 ვ ძაბვის სტაბილიზატორი აწყობილია TR3...TR5, R1...R7, C1 და D1 ელემენტებზე. შედარების სქემა და გაუთანაბრივის სიგნალის მაძლიერებელი შესრულებულია TR4 და TR5 ტრანზისტორებზე. +27 ვ საყრდენი ძაბვის (სტაბილიზატორი D1) მისაღებად 0მს-ის მე-4 გამომჟანს მიეწოდება დამატებითი ძაბვა, რომელიც მიიღება +55 ვ გამართველიდან R5101 და R5102 ძაბვის გამყოფის საშუალებით.

+12 ვ ძაბვის სტაბილიზატორი აწყობილია TR2 შედგნილ ტრანზისტორზე შედარების სქემა და გაუთანაბრივის ძაბვის მაძლიერებელი შესრულებულია TR8, C2, R10 და R11 ელემენტებზე. საყრდენი ძაბვის წყარო D4 სტაბილიტორი. შესავალი ძაბვა მიეწოდება 0მს-ის მე-9 გამომჟანს D5101..D5104 და C5101 ელემენტებზე აწყობილი გამართველიდან.

+13 ვ ძაბვის სტაბილიზატორი აწყობილია TR1 შედგნილ ტრანზისტორზე. საყრდენი ძაბვის წყაროდ გამოყენებულია D₂, D₃ დიოდებზე ძაბვის ვარღნებისა და +12 ვ სტაბილიზატორის გამოსავალ ძაბვათა ჯამი. სტაბილიზატორის შესავალი ძაბვა მიეწოდება 0მს-ის მე-7 გამომჟანს D5105..D5108 და C5102 ელემენტებზე შესრულებული გამართველიდან.

+55 ვ და -45 ვ პირველადი ძაბვების შეწყვეტის შემთხვევაში +12 ვ და +13 ვ ძაბვების სტაბილიზატორები ავარიულად გამოირთვება, რასაც ანხორციელებს TR7 და TR6 ტრანზისტორებზე აწყობილი კვანძი. ამ შემთხვევაში გამოირთვება +5 ვ ძაბვის სტაბილიზატორიც.

+12 ვ ძაბვის სტაბილიზატორის გამოსასვლებზე მოქლედ ჩართვის აღმერის შემთხვევაში D3 დიოდი და, მაშასადამე TR1 შედგნილი ტრანზისტორის ბაზა დამოკლება კორეუსტება. რის გამოც TR1 ჩაიქმნება და +13 ვ ძაბვის სტაბილიზატორის გამოსასვლებზე ძაბვა აღარ იარსებებს.

3. ელემენტობების იმპულსური ტრანზისი

3.1. ელემენტობების იმპულსური

წყაროების სახეები და მუშაობის თავისებურებები

თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატებზე და კომპიუტერული ტექნიკის ელემენტობების სისტემებში ფართოდ გამოიყენება კვების წყაროები გამოსავალი ძაბვის განედურ-იმულსური სტაბილიზაციით. ასეთ ელემენტობების წყაროებს გააჩნიათ მაღალი მძპ, მცირე გაბარიტული ზომები და მასა, მაღალი ხვედროით სიმძლავრე, ეს დადგებითი ოფენები განაირიბებულია იმით, რომ ძალური მარეგულირებელი ელემენტი ასეთ წყაროებში მუშაობს გასაღებისებურ რეჟიმში. ძალური მარეგულირებელი ტრანზისტორის გასაღებისებურ რეჟიმში მუშაობის დროს მისი მუშა მდგრმარების განამსაზღვრელი წერტილი დროის დიდ ნაწილში იმყოფება გაჯერების ან მოკვეთის არეში, ხოლო აქტურ ზონას გაირებენს დიდი სიჩქარით (გადართვის ძალზე მცირე დროში). გაჯერების რეჟიმში ძაბვის ვარდნა ტრანზისტორზე, ხოლო მოკვეთის რეჟიმში ტრანზისტორში გამავალი დენი წელთანაა ახლოს, ამიტომ გასაღებისებურ რეჟიმში მუშაობის დროს ტრანზისტორულ მარეგულირებელ ელემენტში გამოიყოფა მნიშვნელოვან ნაკლები სიმძლავრე, ვიდრე წრფივ (აქტურ) რეჟიმში მუშაობის შემთხვევაში. ძალურ ტრანზისტორულ გასაღებში სიმძლავრის მცირე დანაბარების გამო, ტრანზისტორის დამაგრება გამართველი რადიატორზე საჭირო აღარ არის.

საღებესოდ გავაქს იმპულსური ელემენტობების სამი ტიპი, რომლებიც კვების წყაროების სახით გამოიყენებიან: გარდამქნელი – ცვლადი დენი/მუდმივი დენი (AC-DC კონვერტორი), გარდამქნელი – მუდმივი დენი/მუდმივი დენი (DC-DC კონვერტორი) და გარდამქნელი – მუდმივი დენი/ცვლადი დენი (ინვერტორი). თითოეულ ამ გარდამქნელს გამოყენების საკუთარი სფერო გააჩნია.


იმპულსური კვების წყაროების მასა-გაბარიტული მახასიათებლების გაუმჯობესება პირველ რიგში განკირობებულია იმით, რომ ასეთ კვების წყაროში არ შედის 50 ჰც სისტორის ცვლადი დენის ქსელთან მიერთებული ძალური ტრანსფორმატორი. მის ნაცვლად კვების წყაროს სქემაში ჩართულია მაღალსისშირული ტრანსფორმატორი (ან დროსები), რომლის გაბარიტული ზომები და მასა გაცილებით ნაკლებია ქსელზე უშესებრ მიერთებული (დაბადი სისტორის) ტრანსფორმატორის ზომებსა და მასაზე.

AC-DC კონვერტორის განხოგადობებული სტრუქტურული სქემა მოცემულია 3.1 სურათზე. იგი შედგება ოთხი ძირითადი ბლოკისაგან:

- ტევადობითფილტრიანი ქსელის ძაბვის გამართველი;
- გამართული ძაბვის მაღალსისშირული ინვერტორი;

• მაღალსიხშირული ინვერტორის მართვის სქემა (მართვის სპეციალიზებული მიკროსქემა);

- ტევადობითფილტრიანი მაღალსიხშირული გამომავალი გამმართველი.



სურ. 3.1. ტევადობითფილტრიანი მაღალსიხშირული გამმართველი და ფილტრი სტრუქტურული სქემა

მაღალსიხშირული ინვერტორი, მართვის მოწყობილობასათან ერთად, წარმოქმნის ინდუქციური და ტევადობითი ხასიათის იმპულსურ გარდამქმნელის. უფრო ფართო ინდუქციური იმპულსური გარდამქმნელებია პრაქტიკაში გამოყენებული. ამ ხასის გარდამქმნელები შეიძლება დაიყოს დროსელურ (ან ავტორანსფორმატორულ) და ტრანსფორმატორულ ჯგუფებად. ტევადობითი იმპულსურ გარდამქმნელებს შედარებით შეზღუდული გამოყენება აქვთ – ძაბვის პოლარობის ინვერსია ან ძაბვის გამრავლება (უფრო ხშირად ძაბვის გაორმაგება).

განვიხილოთ ტევადობით იმპულსური წაროვბის მოქმედების პრინციპი 3.1 სურათზე წარმოდგენილი სტრუქტურული სქემის მიხედვით. ძალური ქსელის სინუსოდური ძაბვა გაიმართება გამმართველით, რომელის გამოსახვლელზე ჩართულია დიდი ტევადობის მქონე კონდენსატორი. ამიტომ გამმართველ ძაბვას განანია მცირე ჰუდსაცია. გარდა ამისა, ძალური ქსელის გამორთვისას გამმართველის გამოსახვლელზე ძაბვა შენარჩუნდება საქმართველოს მიერთვის დროს 100 ვტ, მაშინ კოლექტორის კონდენსატორი გამოსახალ ძაბვას შეაკავებს დახასიათებით 20 მლწ-ის


განმავლობაში. 220ვ ქსელის ძაბვის დროს ძაბვა ფილტრის კონდენსატორზე დაახლოებით 300 ვ-ის ტოლია.

გამართული ძაბვა მიეწოდება იმპულსური გარდამქმნელის შესახვლელს, რომელიც მას გარდაუქმნის მართვულსა ფორმის იმპულსურ ძაბვად. იმპულსური ძაბვის სიხშირე ჩვეულებრივ მოთავსებულია 20 კტ-დან 200 კტ-მდე საზღვრებში. გარდამქმნელის სიხშირის გაზრდისას იზრდება სვერტითი სიმძლავრე. მაგრამ, ამავე დროს, იზრდება დნაკარგები გარდამქმნელის ელემენტებში და, მაშასადამე, მცირდება მძპ.

იმპულსური გარდამქმნელის გამოსახალი ძაბვა მიეწოდება ტევადობითფილტრიან მაღალი სიხშირის გამმართველს. მაღალი სიხშირის შემთხვევაში გამმართველისა და ფილტრის ელემენტებს წაეკიტოთ მკაცრი მოთხოვნები: გამმართველში გამოყენებული დიოდების ჩაკტილი მდგომარეობის აღდგენის დრო არ უნდა აღემატებოდეს 10...100 ს ჭრის ხოლო ფილტრის კონდენსატორს არ უნდა გააჩნდეს ინდუქციურობა.

უმრავდეს შემთხვევაში მაღალსიხშირული ინვერტორი ფიქსირებულ სიხშირეზე მუშაობს, ხოლო გარდამქმნელის გამოსახალი ძაბვის რეგულირება ხორციელდება მართვის იმპულსების განვიზუ-იმპულსური მოდულაციის მეთოდის გამოყენებით. განვიზუ-იმპულსური რეგულირების რეალიზაცია ხდება მართვის სქემის საშუალებით, რომლის ერთ-ერთ შესახლელსაც მიეწოდება იმპულსური გარდამქმნელის გამოსახალი ძაბვა. მართვის სიგნალების ფორმა განვიზუ-იმპულსური მოდულაციის დროს 3.2 სურათზეა ნაჩვენები.

განვიზუ-იმპულსური მოდულაციის სიღრმეს ახასიათებენ შევსების კომფიციენტი $\gamma = \frac{t_o}{T}$, სადაც t_o (ton) მართვის იმპულსის ხანგრძლივობაა, ხოლო $T = \frac{1}{f}$ – განმეორების პერიოდი. თუ იმპულსის ხანგრძლივობა შეადგენს პერიოდის ნახევარს, მაშინ $\gamma = 0,5$, ე.ი. 50%. იმპულსის ხანგრძლივობის გაზრდისას შევსების კომფიციენტი იზრდება 100%-მდე საზოგადოდ შევსების კომფიციენტი $0 \leq \gamma \leq 100\%$.



სურ. 3.2. იმპულსების ფორმა განვიზუ-იმპულსური მოდულაციის დროს (ა) და მათი მიღების ხერხი (ბ)

განედურად მოდულირებული იმპულსების მიღების მეთოდი ნაჩვენებია 3.2, ბ სურათზე 3.1 სურათზე ნაჩვენებ სქემაში თავდამატებული წარმოადგება გაუთანხმოების (შეცდომის) სიგნალი U_{d} . ამისათვის მართვის სქემის შესასვლელზე მიეწოდება სქემის გამოსასვლელის ძაბვა U_{d} , რომელიც შეედრება საყრდენი (ეტალონური) ძაბვის წყაროდან მიღებულ U_{d} ძაბვას.

განედური იმპულსური მოდულატორის (ბ0მ) სქემაში გაუთანხმოების სიგნალი U_{d} . შედარღება წრფივი კანონით ცვალებად ხერხისებური ფორმის ძაბვას U_{d} . თუ ბ0მ-ის საწყისი მდგომარეობის დროს მივიჩნევთ, რომ $U_{\text{d}} = U_{\text{max}}/2$, სადაც U_{max} – ხერხისებური ძაბვის ამპლიტუდა, მაშინ საწყისი მდგომარეობის დროს $\gamma = 50\%$.

გამოსავალი ძაბვის მომატებისას ($U_{\text{d}} > U_{\text{d}} \text{ ნო}$) გაუთანხმოების სიგნალიც გაიზრდება ($U_{\text{d}} > U_{\text{max}}/2$), ხოლო მართვის იმპულსის ხანგრძლივობა შემცირდება (როგორც ეს 3.2, ბ სურათიდან გამომდინარეობს).

გამოსავალი ძაბვის შემცირებისას (ნომინალურ სიდიდესთან შედარებით) გაუთანხმოების სიგნალიც შემცირდება ($U_{\text{d}} < U_{\text{max}}/2$), ხოლო იმპულსის ხანგრძლივობა გაიზრდება.

იმპულსის ხანგრძლივობის ცვალებადობა იწვევს ძალური ტრანზისტორული გასაღების ღია მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის შეცვლას და, მაშასადამე, გამოსავალი ძაბვის პროპორციულ ცვლილებას. ამგვარად, რეგულირებად ბ0მ-ინვერტორში უზრუნველყოფილია გამოსავალი ძაბვის სტაბილიზაცია.


33. სურათზე მოცემულია იმპულსური მეორეული ელექტროგების წყაროების პირობითი კლასიფიკაცია.

დროსებური და აგროტრანსფორმატორული გარდამქნელები მიეკუთვნებიან იმპულსურ სტაბილიზატორია რიგს, რომელიც შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: დამადაბლებელი, ამამაღლებელი და მაინვერსირებელი.

იმპულსურ სტაბილიზატორებში გამომავალ და ძალურ ქსელს შერის არსებობს გალვანური (ელექტრული) კავშირი. ამ კავშირის გამორიცხვის მიზნით იმპულსური სტაბილიზატორის შესასვლელზე ზოგჯერ რთვენ ძალურ ტრანსფორმატორს, რაც იწვევს მისი ხვედრითი სიმძლავრის შემცირებას.

ტრანსფორმატორულ იმპულსურ გარდამქნელებში გალვანური კავშირი გამომავალ და შემავალ წრედებს შერის არ არსებობს, მაგრამ მათი ხევდრითი სიმძლავრე დროს სელური იმპულსური გარდამქნელების ხევდრით სიმძლავრეზე ნაკლებია. ტრანსფორმატორული იმპულსური გარდამქნელები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ერთაქტიანი და ორტაქტიანი. ერთაქტიან გარდამქნელებში გამოსასვლელზე სიმძლავრე მიეწოდება გარდამქნის პერიოდის მხოლოდ ერთ ნაწილში. თუ ენერგიის გადაცემა ხდება ძალური

გასაღების ღია მდგომარეობის დროს, მაშინ ასეთ გარდამქნელს უწოდებენ პირდამატებულის (Forward). იმ შემთხვევაში კი, როდესაც გამოსასვლელს ენერგია გადაეცემა ძალური გასაღების ჩაკეტილი მდგომარეობის დროს, მაშინ გარდამქნელს უკუსვლიანი ეწოდება (Flyback).




სურ. 3.3. იმპულსური მმდუ-ქის პირობითი კლასიფიკაცია

ორტაქტიან გარდამქნელებში გამოყენებულია გარდამქნის პერიოდის თრივე ნაწილი. ერთაქტიანი გარდამქნელისგან განსხვავდით, ორტაქტიანი გარდამქნელების მუშაობის პროცესში ტრანსფორმატორის გულარის მედმივი დენით შემაგნიტებას აღიღილი არ აქვს. ორტაქტიანი გარდამქნელები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ერთაშა (Push-Pull), ბოგური (Full-Bridge) და ნახევრად ბოგური (Half-Bridge).

3.2. ძაბვის იმპულსური სტაბილიზატორები

3.2.1. ძაბვის დამადაბლებელი იმპულსური სტაბილიზატორი

ძაბვის დამადაბლებელი იმპულსური სტაბილიზატორი მიეკუთვნება DC-DC (მუდმივი დენი/მუდმივი დენი) გარდამქნელთა ჯგუფს. სტაბილიზატორის პრინციპული სქემა მოცემულია 3.2 სურათზე.



სურ. 34. მაბვის დამაღაბლებელი სტაბილიზატორის პრინციპული სქემა (ა),
მისი კავიალტერული სქემა (ბ), დროსების მაბვისა და დენის დიაგრამები: უწყვეტი
დენის რეჟიმში (გ) და წყვეტილი დენის რეჟიმში (დ)

სქემა შეიცავს შემდეგ აუცილებელ ელემენტებს:

- ძალური გასაღები (ძალური ბიპოლარული ტრანზისტორი ან გელიო მართული ტრანზისტორი), რომელიც ანხორციელებს დენის მაღალსიხშირულ კომუტაციას;
- განმუხტვის დიოდი VD;
- დაბალი სიხშირის L, C ფილტრი;
- მართვის სქემა და უკუკავშირის კვანძი, რომელიც ანხორციელებს მაბვის ან დენის სტაბილიზაციას.

ძალური ტრანზისტორული გასაღები (VT) და ფილტრის დროსები (L) ჩართულია R_L დატვირთვის მიმღევრობით.

გამოსავალი მაბვის პულსაციის შესამცირებლად დატვირთვის პარალელურად ჩართულია ფილტრის C_0 კონდენსატორი.

მართვის სქემა ახდენს ტრანზისტორული გასაღების პერიოდულ ჩართვა-გამორთვას (გაღტანა-გამტვას). ტრანზისტორის გამორთვის (ჩაგტვის) დროს ინდუქციურობაში აღმდეგი თვითინდუქციის გ.მ.დ. დენის VD დიოდს და ამ ინდუქციურობასა და კონდენსატორში დაგროვილი ენერგია განიმუხტება R_L დატვირთვაზე. დროსების დენი ამ დროს იწყებს წრფივი კანონით შემცირებას, რაც გაგრძელდება VT ტრანზისტორის ხელახად ჩართვამდე (გაღტანამდე).

34. ბ სურათზე ჭარმოდგენილია სტაბილიზატორის ჩანაცვლების (კავიალტერული) სქემა, რომელშიც VT ტრანზისტორული გასაღები და VD დიოდი შეცვლილია შექანიკური გადამრთველით S. ტრანზისტორის ღია მდგომარეობას შესაბამება S-ის „1“ კონტაქტზე გადართვა, ხოლო ტრანზისტორის ჩაკეტილ მდგომარეობაში გადასცლას S-ის გადართვა „2“ კონტაქტზე. სქემის კლემების შეცვალის შესაბამისად დროსები გამავალი დენი შეიძლება იყოს როგორც უწყვეტი, ისე წყვეტილი სახის.

უწყვეტი დენის შესანარჩუნებლად დროსების ინდუქციურობა უნდა შეირჩეს შემდეგი გამოსახულების მიხედვით:

$$L > TR_L (1 - \gamma_{\min}) / 2, \quad (3.1)$$

სადაც γ_{\min} – შეცხების კოეფიციენტის მინიმალური მნიშვნელობაა.

VT ტრანზისტორის ჩართვისას (S გადართულია „1“ კონტაქტზე) L ინდუქციურობაში გამავალი დენი იწყებს ზრდას და ტრანზისტორის გამორთვის მომენტში მას ექნება მაქსიმალური მნიშვნელობა. ტრანზისტორის ღია მდგომარეობის დროს აღილი აქს ფილტრის ინდუქციურობასა და ტრანზისტორში ენერგიის დაგროვებას და დატვირთვაზე მაბვის მცირედ მატებას.

VT ტრანზისტორის გამორთვისას (ჩაკეტვისას) (S გადართულია „2“ კონტაქტზე) L ინდუქციურობაში აღმრული თვითინდუქციის გ.მ.დ. დენის VD დიოდს და ამ ინდუქციურობასა და კონდენსატორში დაგროვილი ენერგია განიმუხტება R_L დატვირთვაზე. დროსების დენი ამ დროს იწყებს წრფივი კანონით შემცირებას, რაც გაგრძელდება VT ტრანზისტორის ხელახად ჩართვამდე (გაღტანამდე).

ენერგიის დაგროვების გრაფზე დროსები (E - U_R)-ს ტოლი ძაბვა, ხოლო გნერგიის განმუხტვის გრაფის დაწყებისას დროსები (E - U_R)-ს (სურ. 3.4, გ), ე.ი. დროსები მოქმედი ძაბვის ცვლილება E -ს ტოლი იქნება. დატვირთვაზე მოქმედი ძაბვა კი შეცხების კოეფიციენტის პროპორციულია

$$U_R = \gamma E. \quad (3.2)$$

დროსების ინდუქციურობის შემცირებისას ((3.1)-ის მიხედვით განსაზღვრულ მნიშვნელობასთან შედარებით) იგი მუშაობას დაიწყებს წყვეტილი დენის რეჟიმში. დროსების დენს ამ შემთხვევაში აქვს 34. დ სურათზე ნაჩვენები სახე. როდესაც დროსები გამავალი დენი ნულამდე დაეცემა VD დიოდი ჩაიკეტება (S იმყოფება „1“ და „2“ კონტაქტებს შორის). ამიტომ დროსების ძაბვა U_L და დენი i_L VT ტრანზისტორის ხელახად ჩართვადე ნულის ტოლი სიდიდის. დროსების წყვეტილი დენის რეჟიმში მუშაობის დროს მნიშვნელოვნად მცირდება ტრანზისტორული გასაღების სიმძლავრის მიხედვით გამოყენების კოეფიციენტი, აუცილებელი ხდება ფილტრის კონდენსატორის ტეპადობის გაზრდა, იხრდება დატვირთვის დენის პულსაციის

კოუფიციენტი. ზემთაღნიშვნულიდან გამომდინარე, სტაბილიზატორის სქემის ასეთ რეჟიმში მუშაობა მიზანშეწონიდი არ არის.

სტაბილიზატორის გაანგარიშების დროს დროსელის ინდუქციურობის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვთ ფილტრის კონდენსატორის ტევადობის სიდიდის დადგენის დატვირთვაზე საჭირო ხასიათის მუდმივი ძაბვის მისაღებად. იმპულსური ხასიათის ძაბვიდან მუდმივი შემდგენის გამოყოფისა და პარმონიული შემდგენების ჩახშობის შემაფასებელ ძირითად პარამეტრის ფილტრის გაგლუების კოუფიციენტი კარმოადგენს. ფილტრების უმრავლესობისათვის

$$q = 1/k, \quad (34)$$

სადაც k – ფილტრის გადაცემის კოუფიციენტია.

მარტკუთხა ფორმის იმპულსური ძაბვის პარმონიული შემდგენის მიმართ სტაბილიზატორის ფილტრის L და C კლემენტები შეიძლება მივიჩნიოთ ძაბვის გამყოფად, რომლის გადაცემის კოუფიციენტი

$$K = \frac{1/\omega c}{\omega L + 1/\omega c} = \frac{1}{\omega^2 L c + 1}. \quad (35)$$

LC ფილტრი წარმოქმნის რეზონანსულ სისტემას. ამ სისტემის რეზონანსული სისტემი

$$\omega_0^2 = \frac{1}{LC}. \quad (36)$$


ამიტომ, როდესაც $\omega^2 L c > 10$, მაშინ (35)-ის მნიშვნელში შესაძლებელია „I“-ის უბალუებელყოფა და ფილტრის გაგლუების კოუფიციენტი ანალიზურად ასე ჩაიწერება

$$q = 4\pi^2 f^2 L C, \quad (37)$$

სადაც f – მართვის სქემის მუშაობის სისტემა.

ერთრგოლიანი Γ-სეტური LC ფილტრის გაგლუების კოუფიციენტი (q), ფილტრის ოპტიმალური მასა-გაბარიტული მანქანებლების მიღების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია არ აღმატებოდეს 30...40-ს. გაგლუების კოუფიციენტის საჭირო სიდიდის მიხედვით (3.7)-დან განისაზღვრება ნამრავლი LC, ხოლო L-ის შერჩევით სიდიდის მიხედვით ვიმოვთ ფილტრის კონდენსატორის ტევადობის სიდიდეს.

ცალკე უნდა შევვხოთ სტაბილიზატორის სქემაში გამოსაყენებელი განშეხვის VD დიოდის შერჩევის საკითხს, რადგან ამ დიოდს მუშაობა უხდება მაღალი სისტემის ძაბვის წრედში და დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი გადება-ჩაკეტვის სისტაფეს სტაბილიზატორში მიმდინარე კომუტაციური პროცესების დროს.



სურ. 3.5. დენის განაწილების ხასიათი ტრანზისტორის და მდგომარეობის დროს (ა) და გრაფიკ, რომელიც ასახავს კომუტაციური პროცესების მიმდინარეობას (ბ)

როგორც ცნობილია, და დიოდის (ამ დროს VT ტრანზისტორი ჩაკეტილია) p-n გადასასვლელის საზღვრებთან ადგილი აქვთ მაღალი კონცენტრაციის მუხტების დაგროვებას. ამიტომ ტრანზისტორის ჩართვისას VD დიოდი არ ჩაიკეტება სანამ დიოდის სტრექტურაში დაგროვილი მუხტები არ გაიწვება გარე წრედში, ე. ი. და მდგომარეობიდან ჩაკეტილ მდგომარეობაში გადართვისათვის დიოდს სჭირდება განსაზღვრული დრო (დიოდის ჩაკეტილი მდგომარეობის აღდგენის დრო $t_{\text{დ}}$). ტრანზისტორული გასაღების გაღების შემდეგ, $t_{\text{დ}}$ დროის მონაკვეთში ტრანზისტორის გმიტერი და მდგომარეობაში მყოფი დიოდის გავლით მიერთებული აღმოჩნდება ნულოვან სალტესთან (მიწასთან) (სურ. 3.5, ა), რის გამოც როგორც ტრანზისტორში, ისე დიოდში გაივლის ნომინალურ დენზე რამდენიმეჯერ მცტი სიღიდის დენი. ამ დენს გადართვის პიკურ დენს (I_p) უწოდებენ (სურ. 3.5, ბ). თუ დიოდის ჩაკეტილი მდგომარეობის აღდგენის დრო მნიშვნელოვანი სიღიდისაა, შესაძლებელია დიოდისა და ტრანზისტორის მწყობრიდან გამოსვლა. დიოდის ჩაკეტის შემდეგ ტრანზისტორში გალექტორში გამავალი დენი შემცირდება ნომინალურ სიღიდემდე (სურ. 3.5, ბ, წირი 2-3).

ინერციულად მიმდინარეობს VD დიოდის ჩართვის (გაღების) პროცესი და, მაშასადამე, დატვირთვის დენის ტრანზისტორული გასაღებიდან დიოდზე გადართვის პროცესი. იმისათვის, რომ მოხდეს დიოდის სტრექტურაში ნორმალური და მდგომარეობის შესაბამისი კონცენტრაციის მუხტების დაგროვება, საჭიროა დროის განსაზღვრული მონაკვეთი, რომელსაც დიოდის ჩართვის დრო ეწოდება. მართალია დიოდის ჩართვის დრო ჩაკეტვის დროზე მნიშვნელოვნად ნაკლებია, მაგრამ დიოდის შერჩევის დროს მისი გათვალისწინება აუცილებელია. დიოდის გაღების პროცესში ტრანზისტორის კოლექტორის დენის ცვლილება მოხდება 3.5, ბ სურათზე ნაჩვენები 3-4-1 წირის მიხედვით.

იმპულსურ სტაბილიზატორში მიმდინარე კომუტაციური პროცესების დროს წარმოქმნილი პიკური დენის ჟესამცირებლად უნდა გამოიყენოთ ჩაქტილი მდგომარეობის აღდგენის მინიმალური დროის მქონე დონეები. ამ მხრივ უველავე მიზანშეწონილია მოტკის დონეების გამოყენება. ასეთ დონეებს აქვთ ჩაქტილი მდგომარეობის აღდგენის ძალაზე მცირე დრო (რამდენიმე ათეული ნაორაში). გარდა ამისა, ჟეუძლიათ გაატარო დიდი სიდიდის პირდაპირი დენის იმპულსი (240 ა-მდე ამდიტულით). ასეთი დონეების ნაკლად უნდა ჩაითვალოს დასაშუალების უძუაბების შედარებით დაბალი მნიშვნელობა. პრაქტიკაში უველავე ფართოდ გაფრცელებული მოტკის დონეების მაქსიმალურად დასაშვები უკუძაბება არ აღემატება 40...60 ვ-ს. უფრო მაღალი ძაბების გარდამქნელებში მოტკის დონეების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ფირმა International Rectivire-ის მაღალი მძა მქონე ჟესტრაცი HEXEREED დონეები. ამ დონეების ტექნიკური მონაცემები 3.1 ცხრილშია მოცემული.


3.1 ცხრილი

| დონეის ტიპი | $U_{bmax,3}$ | $J, \text{ ა}$ | $t_{\text{და}}, \text{ ნწ}$ |
|-------------|--------------|----------------|-----------------------------|
| HFA04TB60 | 600 | 4 | 42 |
| HFA06TB120 | 1200 | 6 | 26 |
| HFA08TB60S | 600 | 8 | 55 |
| HFA15PB60 | 600 | 15 | 60 |
| HFA25PB60 | 600 | 25 | 60 |
| HFA30PA60C | 600 | 30 | 60 |
| HFA50PA60C | 600 | 50 | 60 |
| HFA70NH60 | 600 | 70 | 120 |

იმპულსურ სტაბილიზატორში მიმდინარე კომუტაციური პროცესების დროს, განმუტების დიოდის სიხშირული თვისებების გარდა, ძალური ტრანზისტორული გასაღების მუშაობის რეჟიმები გავლენას ასევენს სამონიტო საღენების პარაზიტული ინდუქციურობა (მაგალითად, ორი სანტიმეტრი სიგრძის გამტარის საკუთარი ინდუქციურობა 10 6 პნ-ის ტოლია).

დავუშვათ, სტაბილიზატორის მოცემულ სქემაში არსებობს პარაზიტული ინდუქციურობა $L_{\text{არ}}$ (სურ. 3.6), რომელიც დენის გავლის დროს გროვდება განსაზღვრული სიდიდის ენერგია. ტრანზისტორის ჩაქტებისას ამ ენერგიის განმუტებების სსვა წრედი არ არსებობს და ენერგიის დაცვა მოხდება ტრანზისტორის ჩაქტების სისწრავის შესაბამისი დროის მონაკვეთში. ამ დროს პარაზიტულ ინდუქციურობაზე იარსებებს ძაბგა


$$U_{L_{\text{არ}}} = L_{\text{არ}} \frac{di}{dt} \quad (3.8)$$



სურ. 3.6. სამონიტო გამტარების

პარაზიტული ინდუქციურობის გაფლენის აღრიცხვისათვის

თუ დავუშვებთ, რომ $\frac{di}{dt} = 10 \text{ A/ნწ}$ (რაც 2-ჯერ ნაკლებია გელით მართული ტრანზისტორების შესაბამისი პარამეტრის მაქსიმალურ ტიპურ მნიშვნელობაზე) და $L_{\text{არ}} = 10 \text{ нН}$, მაშინ $U_{L_{\text{არ}}} = 100 \text{ ვ}$. ვინაიდან ტრანზისტორის ჩაქტებისთვის ურთად იღება განმუტების VD დიოდი, ტრანზისტორის სათავე მიერთებული აღმოჩნდება ნულოვან სალტესთან (მიწასთან) და ტრანზისტორის სათავესა და ჩასაღინარს შორის იმოქმედებს ($E + U_{L_{\text{არ}}}$) ძაბგა. თუ $E = 30 \text{ ვ}$, მაშინ ჩაქტების პროცესში ტრანზისტორზე იმოქმედებს 130 ვ-ის ტოლი ძაბგა. აქედან გამომდინარე, საჭიროა შეირჩეს ტრანზისტორი შესაბამისი დასაშვები ძაბვით ან მიღებული იქნას ზომებით ჩაქტების პროცესში ტრანზისტორის გადამტებაძველებისგან დასაცავად. ტრანზისტორული გასაღების გადამტებაძველებისგან დაცვის მიზნით ფართოდ გამოიყენება სპეციალური დამცავი დონეები TRANSIL, რომელიც ტრანზისტორული გასაღების პარალელურად ჩაირთვება (სურ. 3.7.).



სურ. 3.7. TRANSIL დონეის ჩართვის სქემა

TRANSIL დოოდი თვისებით ძალზე წააგავს სტაბილიტონს. მასაც გააჩნია გამრღვევი ძაბვის განსაზღვრული სიდიდე, ამაგვე დროს მისი ამოქმედების დრო არ აღემატება რამდენიმე პიკოწამს. ძალზე მცირე ზომის მიუხედავად (მისი სიგრძე დაახლოებით 10 მმ-ია) დამცავ დოოდს შეუძლია ძალზე დიდი იმპულსური სიმძლავრის შთანთქმა (1 მლწ-ში გაბნეული სიმძლავრე ეტოლება 1500 ვტ).

32.1. ძაბვის დამადაბლებელი იმპულსური სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებელი


რეგულირების მახასიათებელი ასახავს სტაბილიზატორის გამოსავალი ძაბვის ფარდობითი მნიშვნელობის დამოიდებულებას იმპულსთა შეცხების γ კოეფიციენტზე $U_{\varphi}/E = f(\gamma)$. ეს მახასიათებელი ანალიზურად შემდგენ სახით შეიძლება ჩაიწეროს (32)-ის გათვალისწინებით:

$$U_{\varphi}/E = \gamma(1-\sigma)$$

სადაც $\sigma = \frac{r_L}{R_{\varphi}}$ – დროსების გრაგნილის აქტიური წინაღობის ფარდობაა დატვირთვის R_{φ}

წინაღობასთან.

ძაბვის დამადაბლებელი იმპულსური სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებელი წრფივი ხასიათისაა. რეგულირების მახასიათებელის დახრილობა σ -ზეა დამოკიდებული. 3.8 სურათზე რეგულირების მახასიათებლები აგებულია $\sigma=0$ და $\sigma=0,5$ მნიშვნელობებისათვის



სურ. 3.8. ძაბვის დამადაბლებელი იმპულსური
სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებლები

დატვირთვის (გამოსავალი) ძაბვა ამ სახის სტაბილიზატორში შესავალ ძაბვაზე ნაკლებია, რაც განაპირობებს მის სახელწოდებას – ძაბვის დამადაბლებელი იმპულსური სტაბილიზატორი.

32.12. ძაბვის დამადაბლებელი

იმპულსური სტაბილიზატორის დროსების დაპროექტება

მაღალი სიხშირის იმპულსურ კვების წყაროებში გამოყენებული ინდუქციური ელემენტების დაპროექტება (ერთული ვატი სიმძლავრის წყაროების გარდა) ხდება ინდივიდუალურად – კონკრეტული მოწყობილობისათვის, რაღაც მისი კონსტრუქციული პარამეტრები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

იმპულსური კვების წყაროში გამოყენებული დროსების გაანგარიშების დროს საწყის მონაცემად მიიჩნევა დროსების ინდუქციურობის სიდიდე L და დატვირთვის დწის იდ.

ინდუქციურ ელემენტში გამოყოფილ სითბურ ქერგიას განაპირობებს აქტიური დანაკარგები მაგნიტოგამტარში და გრაგნილის აქტიურ წინაღობაში. ამიტომ დროსების დაპროექტება ისე უნდა განსირციველდეს, რომ მასში გამოყოფილი სითბური ქერგია ეფექტურად გაიბნეს გარემო სივრცეში და არ მოხდეს დროსების გადახურვა.

დროსების ენერგოტუბადობა განისაზღვრება შემდეგი გამოსახულების მიხედვით:

$$W = \frac{L_{\varphi}^2}{2} \quad (39)$$

დროსების ენერგოტუბადობა, მეორეს მხრივ, დაკაგშირებულია მაგნიტური გულარის მოცულობასთან:

$$V_{\varphi_{\varphi}} = \sqrt[4]{\left(\frac{5 \cdot 10^3 W}{\mu_c \alpha \Delta T}\right)^3}, \quad (3.10)$$

სადაც μ_c გულარის მაგნიტური შეღწევადობაა;

α – სითბოარინების კოეფიციენტია;

ΔT – დასაშებები გადახურვებაა;

$[V_{\varphi_{\varphi}}] = \text{სტ}^2\text{-ში}.$

სითბოარინების კოეფიციენტი, როდესაც დროსები წევულებრივ პირობებში (ჰაერში) იმყოფება, ეტოლება

$$\alpha = 1,2 \cdot 10^{-3} \text{ გტ/(სტ}^2\text{C)}.$$

დროსების მაგნიტოგამტარის მოცულობა შესაძლებელია შემცირდეს, თუ მოშუშავე დროსების გაგრილებისათვის კონსტრუქციაში გენტილატორს გაფიგურისტინებთ. ამ შემთხვევაში

$$\alpha_{\nu} = \alpha \left(1 + 0,5\sqrt{V}\right),$$

სადაც V – სავენტილაციო პარამეტრის ნაკადის სიჩქარეა, მწბ;

α – სითბორინგის კოეფიციენტი ჩვეულებრივ პირობებში.

(3.10)-ში შემავალი μ_c ეკვივალენტური მაგნიტური შეღწევადობა შესაძლებელია განსხვავდებოდეს ფერომაგნიტური გულარის საჭირო მაგნიტური შეღწევადობისაგან, რადგან იმპულსური კვების წყაროებში დროსევებით ერთი პოლარობის დენზე მუშაობები, რის გამოც დროსევლის გულარაში არსებობს ნარჩენი ინდუქცია Br. ნარჩენი ინდუქციის შემცირების მიზნით დროსევლის გულარას უკეთებება არამაგნიტური დრენო.

ინდუქციური ელემენტების მაგნიტური გულარის გაბარიტული ზომები მკაცრად სტანდარტულია. ამიტომ მაგნიტური გულარის მინიმალურად შესაძლო მოცულობის დადგენის შემდგა გულარების ზომების სტანდარტული რიგიდან უნდა შეირჩეს უახლოესი ზომების მქონე რკინის გულარი. სტანდარტული ზომების მქონე III-კონსტრუქციის გულარის მოცულობა

$$V_{III} = \sqrt[4]{\frac{SS_0}{0,13}}^3, \quad (3.11)$$

სადაც S – მაგნიტოგამტარის მუშა კვეთის ფართობია, მმ²;

S_0 – ფანჯრის ფართობი, მმ².

რგოლური ფორმის მაგნიტური გულარის მოცულობა

$$V_0 = \frac{1}{\pi} \left(1 + \frac{D}{d} \right) S \sqrt{S_0} \quad (3.12)$$

სადაც S – მაგნიტოგამტარის მუშა კვეთის ფართობია, მმ²;

S_0 – ფანჯრის ფართობი, მმ².

D და d – რგოლის გარე და შიგა დიამეტრებია შესაბამისად.

დროსევლის არამაგნიტური დრენო განისაზღვრება ფორმულიდან

$$W_{bg} = \frac{l_0}{\delta}, \quad (3.13)$$

სადაც l_0 – მაგნიტოგამტარის საშუალო წირის სიგრძეა;

δ – არამაგნიტური დრენოს სიღილე.

მაგნიტოგამტარის ეკვივალენტური შეღწევადობის სიდიდე უნდა შეირჩეს 70...150 ფარგლებში.

დროსევლის გრაფიკის ხელვალთა რიცხვი უნდა შეირჩეს ფორმულიდან:

$$W_{bg} = \sqrt{\frac{Ll_0}{\mu_0 \mu_c S}} \quad (3.14)$$

ხოლო სწორედ დაპროექტებული დროსევლის შემთხვევაში უნდა შესრულდეს შემდეგი პირობება:


$$\frac{Li_{bg}}{W_{bg} S} \leq 0,9 B_m, \quad (3.15)$$

სადაც B_m – ინდუქციის მაქსიმალური მნიშვნელობაა.

თუ (3.15) პირობა არ სრულდება, მაშინ უნდა შეირჩეს მეტი მოცულობის მაგნიტური გულარი და ჩატარდეს ხელახალი გაანგარიშება (3.15) პირობის დაკმაყოფილებამდე.

3.2. ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორი

ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის გამარტივებული პრინციპული სქემა მოცემულია 3.9 სურათზე.



სურ. 3.9. ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის სქემა (ა),
მისი ეკვივალენტური სქემა (ბ) და დროსევლის ძაბვისა და დენის გრაფიკები (გ)

ამ სქემაში დროსევლი E კების წყაროს მიმდევრობით, ხოლო დიოდი – დატვირთვის მიმდევრობით. ძალური ტრანზისტორული გასაღები VT, რომელიც პერიოდულად იღება-ი-ეტება მართვის სისტემიდან მიწოდებული იმპულსების სისშირის შესაბამისად, მიერთებულია დატვირთვის პარალელურად. ძაბვის დამადაბლებელი სტაბილიზატორისგან განსხვავებით, აქ L ინდუქციურობა არ წარმოადგენს ფილტრის ელემენტს, ხოლო გამოსავალი ძაბვა (L ინდუქციურობის სიღილისა და შეცვების კოუფიციენტის სათანადო შერჩევის გზით) შეიძლება შესასვლელზე მოწოდებული ძაბვის სიღილეზე მეტი აღმოჩნდება.

3.9, ბ სურათზე მოცემულია ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის ეკვივალენტური სქემა. VT ტრანზისტორის ჩატარვისას, რაც S მექანიკური გადამრთველის

„L“ კონტაქტზე გადართვის ტოლფასია, დროსებული კვების წყაროს E ძაბვაზე აღმოჩნდება მიურთებული. დროსებულში გაივლის დენი, რომელიც ენერგიით მუხტავს მას. როგორც ცნობილია, დროსებულზე არსებულ ძაბვასა და გამავალ დენს შორის არსებობს დამოკიდებულება

$$U_L = L \frac{di_{Lg}}{dt},$$

სადაც i_{Lg} – დროსებულის დენია დამუხტების რეჟიმში.

იმის გამო, რომ მოცემულ შემთხვევაში $U_L = E$ და E კვების წყაროს ძაბვა მუდმივი სიდიდისაა, გამოსახულებიდან


$$i_{Lg} = \frac{1}{L} \int U_L dt,$$

მივიღებთ

$$i_{Lg}(t) = \frac{E}{L} t_g, \quad (3.16)$$

სადაც t_g – დროსებულის დამუხტების ეტაპის (ტრანზისტორის ჩართული მდგომარეობის) ხანგრძლივობაა.

(3.16)-დან გამომდინარებს, რომ VT ტრანზისტორის ჩართვის შემდეგ დროსებულში გამავალი დენი იწყებს წრფივი კანონით ზრდას, რომელიც გაგრძელდება VT ტრანზისტორის გამორთვამდე (ტრანზისტორის გამორთვას მართვის სისტემა ახდენს). ყველა სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში (კვების ძაბვის სიდიდე და ტრანზისტორის ჩართული მდგომარეობის ხანგრძლივობა) დროსებულში გამავალი დენის სიდიდე დამუხტების ეტაპის ბოლოს მით მეტი იქნება, რაც უფრო მცირე სიდიდისაა L ინდუქციურობა (სურ. 3.10).



სურ. 3.10. დროსებულის დენის ზრდის სინქარის დამოკიდებულება ინდუქციურობის სიდიდეზე

L დროსებულის დამუხტების ეტაპის დროს, VD დიოდი დატვირთვის წრედს მოკვეთს (ბლოკავს) და VT გასაღების წრედისგან და ფილტრის C კონდენსატორს არ აძლევს ჩართულ გასაღებზე განმუხტების საშუალებას.

VT ტრანზისტორული გასაღების ჩაეტვის შემდეგ დროსებულში დაგროვილი ქერგია და მდგომარეობაში მყოფი VD დიოდის გავლით განიმუხტება R_d დატვირთვაზე ერთდროულად იმუსტება ფილტრის C კონდენსატორიც. დროსებულის განმუხტების ეტაპს შევსაბამება S-ის „2“ კონტაქტზე გადართვა. ამ დროს კვების წყაროს E ძაბვას დაემატება დროსებულის ფილტრის გმ. და კონდენსატორსა და დატვირთვაზე აღმოჩნდება $U_R > E$ ძაბვა. დროსებულის U_L ძაბვისა და i_L დენის ფორმული ნაჩვენებია 3.9, გ სურათზე დროსებულზე მოქმედი ძაბვის ნახტომის სრული სიდიდე გასაღების კომუტაციის დროს ($U_R - 2E$)-ს ტოლია.

3.2.2.1. ძაბვის ამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის სქემის ელემენტების პარამეტრების განსაზღვრა

დროსებულის ინდუქციურობა L. სტაბილიზატორმა უნდა უზურუნველყოს დატვირთვისადმი საჭმარისი სიმძლავრის მიწოდება

$$P_g = i_{Lg} U_g.$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ დატვირთვის დენი i_g დროსებულში გამავალი დენის დაახლოებით ნახევრის ტოლია $\left(i_g \approx \frac{i_L}{2} \right)$, მივიღებთ

$$P_g \approx \frac{i_L U_g}{2}. \quad (3.17)$$

ამავე დროს, დატვირთვის დენი განისაზღვრება დროსებულის დამუხტების ეტაპის დენით და არ შეიძლება აღმოჩნდეს მასზე მეტი სიდიდის. (3.16) და (3.17)-ის გათვალისწინებით შესაძლებელია დაგადგინოთ დროსებულის ინდუქციურობის მაქსიმალური მნიშვნელობა დატვირთვისადმი საჭირო სიმძლავრის გადაცემის უზრუნველყოფის პირობებში

$$L_{\max} = \frac{E U_g t_{g\max}}{2 P_g}, \quad (3.18)$$

სადაც $t_{g\max} = \frac{0,9}{f}$ – დროსებულის დამუხტების ეტაპის, ანუ ძალური გასაღების ჩართული მდგომარეობის მაქსიმალური ხანგრძლივობა.

f – ძალური გასაღების კომუტაციის სიხშირე.

(3.18)-დან გამომდინარე დროსებულის ინდუქციურობის მნიშვნელობის ზედა ზღვარს ხლუდავს დატვირთვისადმი გადასაცემი სიმძლავრის სიდიდე. რაც შეეხება დროსებულის ინდუქციურობის მნიშვნელობის ქვედა ზღვარს (დასაშვები მინიმალური მნიშვნელობა), მას ზღვდავს ტრანზისტორული გასაღების დენის დასაშვები მნიშვნელობა. დროსებულის ინდუქციურობის მინიმალური მნიშვნელობის გაანგარიშება უნდა მოხდეს ფორმულით

$$L_{\min} = \frac{E_{\min} t_{g\max}}{2i_g}. \quad (3.19)$$

დროსების ინდუქციურობის გაანგარიშება უნდა მოვახდინოთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- მოცემული პარამეტრების – $U_g, f, P_g, E_{\min}, t_{g\max}$ მიხედვით უნდა განისაზღვროს L_{\max} ;
- მოცემული პარამეტრების – $E_{\min}, t_{g\max}, i_g$ მიხედვით უნდა განისაზღვროს L_{\min} ;
- უნდა შესრულდეს პირობა $L_{\max} > L_{\min}$. წინადაღმდეგ შემთხვევაში გარდამქმნელი უბრალოდ ვერ შეძლებს მუშაობას.
- დროსების ინდუქციურობა უნდა შეიორჩეს $L = L_{\min}$

30 ლთის კონდენსატორი C. ფილტრის კონდენსატორი უზრუნველყოფს სტაბილიზატორის მაბეჭის პულსაციის შემცირებას. კონდენსატორის C ტევადობის სიდიდის გაანგარიშებისათვის საჭიროა დაგინდეს კონდენსატორზე (მაშასადამ დატვირთვაზე) მაბეჭის ცვლილების სიდიდე სტაბილიზატორის სრული მუშა ციკლის დროს.

ლ დროსების განმუხტვის ეტაპის დროს კონდენსატორზე მიიღება მაბეჭის ნამატი

$$\Delta U_Q = \frac{Q}{C}, \quad (3.20)$$

სადაც $Q = t_g i_{Lg}$ – დროსების განმუხტვის ეტაპზე კონდენსატორისადმი გადაცემული მუხტია;

t_g – დროსების განმუხტვის ეტაპის (კ. მალური გასაღების ჩაკეტილი მდგრამარეობის) ხანგრძლივობაა;

i_{Lg} – დროსების დენია განმუხტვის ეტაპის დროს.

თუ დავუშვებთ, რომ დროსების დამუხტვისა და განმუხტვის ეტაპების დენები ერთნაირია, კ. მაშინ $i_{Lg} = i_{Lg}$, მაშინ (3.16)-ის გათვალისწინების შემდეგ, გვექნება

$$\Delta U_Q = \frac{Et_g t_g}{LC}. \quad (3.21)$$

სტაბილიზატორის გამოსაფადი მაბეჭის პულსაციის კოეფიციენტი

$$K_s = \frac{\Delta U_Q}{U_g} = \frac{E}{U_g} \cdot \frac{t_g t_g}{LC}. \quad (22)$$

პულსაციის დასაშენები კოეფიციენტის მიხედვით (3.22)-დან განისაზღვრება კონდენსატორის ტევადობის სიდიდე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ $t_g = \gamma T = \gamma/f$, ხოლო $t_g = T - t_g = T(1-\gamma) = (1-\gamma)/f$, მაშინ მაბეჭის ამამაღლებელი სტაბილიზატორის დროსებისა და ფილტრის კონდენსატორის პარამეტრების გაანგარიშებისათვის შეიძლება შემდეგი გამოსახულებების გამოყენება:

$$L_{\max} = \frac{EU_g \gamma_{\max}}{2P_g f}; \quad L_{\min} = \frac{E_{\min} \gamma}{2i_{g\max} f};$$

$$K_s = \frac{E_{\min}}{U_{g\max}} \cdot \frac{\gamma(1-\gamma)}{f^2 LC} \quad (3.23)$$

გაგლობირებადი დიოდი VD. მაბლოკირებელ დიოდად მიზანშეტონილია შოტკის დიოდის გამოყენება. ასეთი დიოდისათვის დამახასიათებელია პირდაპირი ძაბვის ვარდნის მცირე მნიშვნელობა და მაღალი სწრაფქმდება (ძალზე სწრაფი ჩართვა-გამორთვა). დიოდის შერჩევა უნდა მოხდეს პირდაპირი დენისა და უკუძაბვის დასაშვები მნიშვნელობების მიხედვით.

მალური გასაღზე. მაბეჭის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის მალურ მარეგულირებელ ელემენტად (გასაღებად) ბოლო დროს ძირითადად მალური ველით მართული ტრანზისტორები (ლონ-MOSFET) გამოიყენება.

3.2.2. მაბეჭის ამამაღლებელი იმპულსური

სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებელი

მაბეჭის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებელის ანალიზური გამოსახულების დადგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დროსების დამუხტება-განმუხტვის ეტაპების დროს სქემის ელემენტებზე არსებული ძაბვის ვარდნები. კერძოდ, ძაბვის ვარდნებს ადგილი აქვთ: კვების წყაროს შიგა წინაღობაზე r_g , დროსების გრაგნილის აქტიურ წინაღობაზე r_L , ჩართული (ღია) გასაღების შიგა წინაღობაზე r_{VT} და მაბლოკირებელი ღია დიოდის შიგა წინაღობაზე r_{VD} . მივიჩნიოთ, რომ $r_{VT} = r_{VD}$. მაშინ დროსების დამუხტვა-განმუხტვის წრედების წინაღობები ტოლი სიდიდის იქნება

$$r = r_g + r_L + r_{VT} = r_g + r_L + r_{VD}.$$

შევაღინოთ დენების ბალანსის განტოლება დროსების ინდუქციურობის დამუხტვა-განმუხტვის ეტაპების დროს


$$\frac{E - i_L r}{fL} \gamma = \frac{(U_g - E + i_L r)(1-\gamma)}{fL},$$

რომლის გამარტივების შემდეგ მივიღებთ

$$U_g = \frac{E}{\left(1 + 2 \frac{r}{R_g}\right)(1-\gamma)}. \quad (3.24)$$

რეგულირების მახასიათებელთა ოჯახი, $\frac{r}{R_{\text{g}}}$ ფარდობის სხვადასხვა მნიშვნელო-

ბებისათვის, წარმოდგენილია 3.11 სურათზე.



სურ. 3.11. ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური
სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებელი

(3.24) სამართლიანი შეცხების კოეფიციენტის კრიტიკულ მნიშვნელობაზე ნაკლები სიდიდის დროს. როდესაც შეცხების კოეფიციენტი გადააჭარბებს კრიტიკულ მნიშვნელობას, რომელიც განისაზღვრება გამოსახულებიდან

$$\gamma_{\text{cr}} = 1 - \sqrt{\frac{r}{R_{\text{g}}}}, \quad (3.25)$$

სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებელი დადმავალ სახეს ღებულობს. ამის მიზეზი ის არის, რომ r წინადაბაზე ძაბვის ვარდნას ვეღარ აკომენირებს ინდუქტორის დრინის ზრდადობა. ამიტომ (3.24)-ის გამოყენება ამ უბისათვის შეუძლებელია. იმისათვის, რომ მივიღოთ საჭაოდ განვევნილი საწყისი აღმავალი უბანი, r უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე სიდიდის.

როგორც 3.11 სურათიდან ჩანს, შეიძლებელია გამოსავალი ძაბვის სიდიდე რამდენიმე რიგით აღემატებოდეს შესასვლელზე მიწოდებულ ძაბვას. ძაბვის გაზრდის კოეფიციენტი, როგორც წესი, არ აღემატება 5-ს. რაც შეცხება შეცხების კოეფიციენტს, იგი შეირჩევა არა უმეტეს 0,8...0,9-ისა.

3.22.3. ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის დროსების დაპროექტება

ძაბვის ამამაღლებელი იმპულსურ სტაბილიზატორში ადგილი აქვს ძაბვის მაღალსიშირულ (100...300 ქც) გარდაქმნას. ამიტომ სტაბილიზატორის ინდუქტორი

კლემენტების (დროსები, ტრანსფორმატორი) დაპროექტების დროს აუცილებელია რიგი მოთხოვნების შესრულება. კერძოდ, ინდუქტორ ელემენტის უნდა გააჩნდეს:

• მინიმალურად შესაძლო გაბარიტული ზომები დატვირთვისადმი გადასაცემი სიმძლავრის მოცემული მნიშვნელობის დროს;

• მინიმალური აქტიური დანაკარგები მაგნიტურ გულარასა და გრაგნილში;

• ნარჩენი ინდუქციის ნულთან ახლო მნიშვნელობა.

ყველა ამ მოთხოვნას საჭაოდ კარგად აგმაყიფილებენ დროსელები, რომლებშიც გამოყენებულია ღეროვანი კონსტრუქციის ფერიტის გულარები (HH, HM, HMC მარკის ფერიტი). კონსტრუქციულად ასეთი დროსები წარმოადგენს წრიული (ზოგჯერ მართკუთხა ან კვადრატული) კვეთის ფერიტის ღეროს, რომელზეც დახვეულია იზოლირებული სპილენძის გამტარის ერთი ან რამდენიმე შრე. დროსებს გააჩნია ორი საკონტაქტო გამოყევანი.

ქვემოთ (გამოყენის გარეშე) მოცემულია ფორმულები ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის დროსების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად. ამ ფორმულებში გამოყენებულია დასაპროექტებელი დროსების (საანგარიშო მოცემულია 3.12 სურათზე) მაგნიტური და კონსტრუქციული სიდიდეების შემდეგი აღნიშვნები:

l – გულარის სიგრძე;

l_k – ხელულის სიგრძე;

d – გულარის დიამეტრი;

μ_c – გულარის ფარდობითი ეპიფალენტური შეღწევადობა;


μ – გულარის მასალის საწყისი შეღწევადობა;

μ_o – მაგნიტური მუდმივა;

$k = \frac{l}{l_k}$ – გულარის გრაგნილით შეცხების კოეფიციენტი;

a, b – მართკუთხა ფორმის გულარის კვეთის გვერდები;

W_{b3} – გრაგნილის ხელულთა რიცხვი.



სურ. 3.12. ღეროვანგულარინი დროსების კონსტრუქციული პარამეტრები

დროსელის ინდუქციურობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულებით:

ა) $k \approx 1$ შემთხვევაში:

წრიული კვეთის მქონე გულარებისათვის

$$L = \frac{5\mu_0 W_{b3}^2}{2\pi} \cdot \frac{l}{\ln\left(\frac{l}{d}\right) - 0,818}. \quad (3.26)$$

მართკუთხა კვეთის მქონე გულარებისათვის

$$L = \frac{5\mu_0 W_{b3}^2}{2\pi} \cdot \frac{l}{\ln\left(\frac{l}{a+b}\right) + 0,29}. \quad (3.27)$$

ბ) $k \gg 1$ შემთხვევაში:

წრიული კვეთის მქონე გულარებისათვის

$$L = \mu_0 W_{b3}^2 d \left[0,75 \frac{l}{d} + 0,3 \right]. \quad (3.28)$$

მართკუთხა კვეთის მქონე გულარებისათვის

$$L = 1,13 \sqrt{ab} \mu_0 W_{b3}^2 \left[0,66 \frac{l}{\sqrt{ab}} + 0,3 \right]. \quad (3.29)$$

გ) $k \gg 1$ და $\frac{l}{d} \geq 20$

წრიული მართკუთხა კვეთის მქონე გულარებისათვის

$$L = 0,75 \mu_0 W_{b3}^2 l. \quad (3.30)$$

გულარის კვივალენტური შეღწევადობა განისაზღვრება შემდეგი მიახლოებითი ფორმულების გამოყენებით:

ა) წრიული კვეთის მქონე გულარისათვის

$$\mu_c = \frac{\left(\frac{l}{d}\right)^2}{\ln\left(\frac{l}{d}\right) - 0,818}. \quad (3.31)$$

ბ) მართკუთხა კვეთის მქონე გულარისათვის

$$\mu_c = 0,78 \frac{\frac{l^2}{ab}}{\ln\left(0,88 \frac{l}{\sqrt{ab}}\right) - 0,818}. \quad (3.32)$$

გულარის მინიმალური მოცულობა იანგარიშება ფორმულიდან

$$V_{\theta_3} = \sqrt{\left(\frac{5 \cdot 10^3 L i_{L_{\max}}}{\mu_c \alpha \Delta T} \right)^3}, \quad (3.33)$$

სადაც $[V_{\theta_3}] = \text{სმ}^3$,

$\alpha = 1,2 \cdot 10^3$ გტ/სმ²°C – სითბოარინების ტემპერატურული კოეფიციენტი;

ΔT – მაგნიტოგამტარის გაცეცლება ($\Delta T = 40^0C$).

გულარის მაგნიტური ინდუქციის მნიშვნელობა:

ა) წრიული კვეთის მქონე გულარისათვის

$$B = \frac{4 L i_{L_{\max}}}{\pi d^2 W_{b3}} \leq 0,25 \text{ ტლ}; \quad (3.34)$$

ბ) მართკუთხა კვეთის მქონე გულარისათვის

$$B = 3,12 \frac{L i_{L_{\max}}}{\pi a b W_{b3}} \leq 0,25 \text{ ტლ}; \quad (3.35)$$

დროსელის გაანგარიშებას გახდენთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- L -ის განსაზღვრის შემდეგ დავადგენთ მაგნიტოგამტარის მინიმალურ მოცულობას და გულარის გეომეტრიულ ზომებს;

- L -ის ცნობილი სიდიდის მიხედვით, აგრეთვე გულარის გეომეტრიული ზომების მიხედვით ვთვალისწინოთ W_{b3} ხელულია რიცხვს;

- გამოწმებთ გულარაში მაგნიტური ინდუქციის სიდიდეს;

- აუცილებლობის შემთხვევაში (თუ ინდუქცია დასაშენებ მნიშვნელობას აღემატება)

შევარწევთ მეტი გაბარიტული ზომების მქონე გულარას და გავიმურებთ W და B სიდიდეების გაანგარიშებას;


- გრაგილის გამტარის განვით კვეთის განსაზღვრის დროს გსარგებლობთ დენის სიმკერივის დასაშენები კოეფიციენტით $\sigma = (4...5) \text{ ა/მ}^2$.

3.2.3. ძაბეის მაინგერსირებელი იმპულსური სტაბილიზატორი

ამ სახის იმპულსურ სტაბილიზატორს შეუძლია იმუშავოს შესავალი ძაბეის დადაბლების, ამაღლების და შესავალი ძაბეის გამორეცების რეჟიმში. ამავე დროს, გამოსავალ ძაბეას აქვთ შესასვლელები მიწოდებული ძაბეის საწინააღმდეგო ნიშანი, რაც განაპირობებს სტაბილიზატორის სახელმოდებას – მაინგერსირებელი. ძაბეის მაინგერსირებელი იმპულსური სტაბილიზატორის სქემა მოცემულია 3.13 სურათზე.

როდესაც VT ტრანზისტორული გასაღები ჩართულია, მაშინ VD დიოდი ჩაკეტილია E ძაბეით, ხოლო L დროსებით უშეადლოდა მიერთებული კების წყაროსთან და მასში გამავალი დენი იზრდება წრფივი კანონით. ამ დროს მიმდინარეობს დროსელის ენერგიით დამუხტვის პროცესი. დამუხტვის პროცესის დენი

$$i_R(t) = \frac{E t_R}{L} = \frac{E}{L} \cdot \frac{\gamma}{f}. \quad (3.36)$$



სურ. 3.13. ძაბვის მაინვერტისირებელი იმპულსური სტაბილიზატორის სქემა (ა)
და დროსელის ძაბვისა და დენის გრაფიკები (ბ)


ტრანზისტორული გასაღების ჩაკეტვის შემდეგ დროსელის თვითინდუქციის ე.მ.ძ. გააღებს VD დიოდს და დროსელში დაგროვილი ენერგია იწყებს განმუხტვას დატვირთვაზე იმის გამო, რომ გასაღების კომუტაციის შემდეგ დროსელში გამავალი დენის მიმართულება უცვლელი რჩება (დიდის არსებობის გამო), დატვირთვაზე აღმოჩნდება შესასვლელზე მიწოდებელი ძაბვის საჭიროადმდებო ნიშნის ძაბვა. დროსელის განმუხტვის დენი

$$i_d(t) = -\frac{U_R(1-\gamma)}{\gamma}. \quad (3.37)$$

თუ ჩაფოლით, რომ გასაღების გადართვის მომენტში დროსელის დამუხტვისა და განმუხტვის დენები ერთნაირია, სტაბილიზატორის რეგულირების მახასიათებელი ანალიზურად ასე ჩაიწერება

$$\frac{U_R}{E} = -\frac{\gamma}{1-\gamma}. \quad (3.38)$$

როდესაც $\gamma=0,5$, მაშინ $U_R=-E$, კ.ი. ადგილი აქვს შესავალი E ძაბვის მხოლოდ ნიშნის შეცვლას (ინვერსია). თუ $\gamma < 0,5$, მაშინ მაინვერტისირებელი სტაბილიზატორი მუშავებს შესავალი ძაბვის დადაბლების რეჟიმში, ხოლო როდესაც $\gamma > 0,5$ – შესავალი ძაბვის ამაღლების რეჟიმში.



სურ. 3.14. ძაბვის მაინვერტისირებელი იმპულსური სტაბილიზატორის
რეგულირების მახასიათებელი

3.2.4. მიკროსქემები ძაბვის იმპულსური სტაბილიზატორებისათვის

ძაბვის იმპულსური სტაბილიზატორების მართვისათვის გამოყენებულ მიკროსქემებს ხშირად DC-DC (მუდმივი დენი-მუდმივი დენი) კონვერტორებსაც უწოდებენ, რადგან ისინი ახდენენ შესავალი მუდმივი ძაბვის დონის ან პოლარობის გარდაქმნას. ახეთი სტაბილიზატორები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს შესავალი და გამოსავალი წრედების გალვანური გართვის აუკილებლობა, ხოლო პირველად წყაროს წარმოადგენს მუდმივი ძაბვის წყარო (ელემენტთა ბატარეა, აკუმულატორი, მზის ბატარეა). იმპულსური სტაბილიზატორის გამოსასვლელზე შესაძლებელია სხვადასხვა სიდიდის ძაბვის მიღება, როდესაც მის შესასვლელზე რამდენიმე ერთეული კოდეტის ტოლი ძაბვა მიერთებული. ზოგ შემთხვევაში იმპულსურ სტაბილიზატორებს იყენებენ ქსელის გამართული ძაბვის უშეალო გარდაქმნისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს გადაგანური კავშირი სტაბილიზატორის გამომავალ წრედსა და ძალურ ქსელს შორის (თუ გამართულის შესასვლელზე გამოუყენებული არ არის ძალური ტრანსფორმატორი).

სადღესოდ საზღვარგარეთის ფირმები უშევბენ იმპულსური სტაბილიზატორებისათვის სამი ნაირსახეობის ინტეგრალურ მიკროსქემას:

- ძაბვის ამამაღლებელი იმპულსურ სტაბილიზატორებს დაბალი შესავალი ძაბვით (2-დან 12 გ-მდე) და ჩაშენებული ველით მართული ტრანზისტორით (სტაბილიზატორების სერია: MAX731(1446 მიუ), MXX734 (1446 მიუ) და MAX641 (1446 მიუ));

- მცირე სიმძლავრის უნივერსალურ ინტეგრალურ მიკროსქემებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია იმპულსურ სტაბილიზატორთა სხვადასხვა სქემის ასაგებად (მაგალითად, LM100(142E მიუ)) ან μA78S40(1156 ე. ე. 1);


- დასრულებულ სტაბილიზატორებს, რომლებიც შეიცავენ მართვის სქემებს და ძალურ ტრანზისტორს 10 ა-მდე დენზე (მაგალითად, LAS6380(1156 ე. ე. 1)).

32 ცხრილში მოცემულია იმპულსურ სტაბილიზატორთა ინტეგრალური მიკროსქემების ძირითადი პარამეტრები. ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორები მეშვეობენ დაბალი შესავალი ძაბვით და +5 ვ ან +12 ვ ფიქსირებული გამოსავალი ძაბვით. ასეთი სტაბილიზატორების შექ აღწევს 88%-მდე, ხოლო გარდაქმნის მუშა სიხშირე – 170 ჰეც-მდე. დატვირთვის სიმძლავრის მცირე მნიშვნელობების შემთხვევაში ძალურ გასაღებად გამოიყენება მიკროსქემაში ჩაშენებული ველით მართული ტრანზისტორი. დატვირთვის სიმძლავრის დიდი მნიშვნელობების დროს აუცილებელია დამატებითი ბიოლარეული ან ველით მართული ტრანზისტორის გამოყენება.

3.2 ცხრილი

| 0მს-ის ტიპი | ფუნქციური დანიშნულება | $U_{\text{ფ}} \cdot \beta$ | $I_{\text{გამა}}$ | $f, \text{გვ}$ | P, ვტ (მდპ %) |
|------------------------|--|----------------------------|-------------------|----------------|------------------|
| MAX731(1446 უნი) | ძაბვის ამამაღლებელი სტაბილიზატორი | 2,5..5,2 | 0,200 | 170 | (80) |
| MAX734 (1446 უნი 2) | ძაბვის ამამაღლებელი სტაბილიზატორი | 2..12 | 0,175 | 170 | (80) |
| MAX641(1446 უნი 3) | ძაბვის ამამაღლებელი სტაბილიზატორი | 1..12 | 0,450 | 170 | (80) |
| LM100(142E უნი) | ელემენტობა ანაწყობი იმპულსური სტაბილიზატორის ასაწყობად | <40 | 0,200 | 100 | 0,6 |
| μ A78S40(1156 EY1) | ელემენტობა ანაწყობი იმპულსური სტაბილიზატორის ასაწყობად | <40 | 1,500 | 100 | 1,5 |
| LAS6380(1155 EY1) | მძლავრი იმპულსური სტაბილიზატორი | <40 | 8,00 | 200 | 8,5 |

ყველაზე უნივერსალურს მეორე ჯგუფის ინტეგრალური მიკროსქემები წარმოადგენენ. ასეთი მიკროსქემა არის ელემენტობა ანაწყობი სხვადასხვა ტიპის იმპულსური სტაბილიზატორის ასაგებად. ამ ჯგუფის მიკროსქემებიდან ყველაზე სრულყოფილს μ A78S40(1156 EY1) ტიპის მიკროსქემა წარმოადგენს, რომლის გამარტივებული სტრუქტურული სქემა 3.15 სურათზეა წარმოდგენილი.



სურ. 3.15. μ A78S40(1156 EY1) ტიპის მიკროსქემის სტრუქტურული სქემა

იმს-ის შემადგენლობაში შედის შემდეგი კვანძები და ბლოკები:


- საყრდენი ძაბვის წყარო (სტრ) 1,25 ვ-ის ტოლი ძაბვით;
- ოპერაციული მაძლიერებელი (ომ) 4 მდგ-ის ტოლი ნულის წანაცვლების ძაბვით, $2 \cdot 10^{-5}$ -ის ტოლი გაძლიერების კოეფიციენტით და 0,6 ვ/მეტ-ის ტოლი ძაბვის ზრდის სიჩქარით;
- განვიდურ-იმპულსური მოდულატორი (ბიტ), რომელიც შეიცავს დამკვეთ გენერატორს, კომპარატორს, „და“ ლოგიკურ სქემასა და RS-ტრიგერს;
- ტრანზისტორული გასაღები (VT2) დრაივერით (VT1);
- ძალური დიოდი D1 (1-ის ტოლი პირდაპირი დენით და 40 ვ-ის ტოლი დასაშუალების უკუძაბებით).

მიკროსქემით შესაძლებელია განხორციელდეს გარეშე ბიოლარეული ან ველით მართული ტრანზისტორის მართვა იმ შემთხვევაში, როდესაც სტაბილიზატორიდან დატვირთვა მოითხოვს 1,5 ა-ზე მეტ დენს, ხოლო გამოსავალის ძაბვა 40 ვ-ს აღემატება.

μ A78S40 ტიპის მიკროსქემა წარმოადგენს ცვლადი სიხშირისა და შეცვების ფოფიციენტის მქონე იმპულსურ გარდამწერელს. გარდების ძირითადი სიხშირის დაუქენება ხორციელდება სიხშირის დამკვეთი კონდენსატორის C_T საშალებით. C_T სიდიდე განსაზღვრავს მიკროსქემის სტრუქტურულ სქემაში შეიცავდი გენერატორის სიხშირეს,

რომელიც შეიძლება შეცვალოს 100 ჰერზ 100 ჰერზდე ფარგლებში. ეს ტეპარობა ამავე დროს განაპირობებს ძალური ტრანზისტორული გასაღების ჩართული (ლია) და გამორთული (ჩაკეტილი) მდგომარეობათ ხანგრძლივობებს.


3.16 სურათზე ჩანვნებია VT2 ძალური ტრანზისტორული გასაღების ჩართული მდგომარეობის ხანგრძლივობის (t_{on}) და გამორთული მდგომარეობის ხანგრძლივობის (t_{off}) კონდენსატორის Ct ტეპარობაზე დამოკიდებულების გრაფიკი



სურ. 3.16. ძალური გასაღების ჩართული/გამორთული

მდგომარეობის ხანგრძლივობის დამოკიდებულება Ct ტეპარობაზე

3.17 სურათზე მოცემულია μ A78S40 ტიპის მიკროსქემის სხვადასხვა ჯგუფის (ძაბვის ამამაღლებელი, ძაბვის დამადაბლებელი და ძაბვის მაინვერსორებელი) იმპულსურ სტაბილიზატორებში გამოყენების პრაქტიკული მაგალითები.



სურ. 3.17. μ A78S40 მიკროსქემის ჩართვა ძაბვის იმპულსურ სტაბილიზატორებში: ძაბვის დამადაბლებულში (ა), ძაბვის ამამაღლებელში (ბ) და ძაბვის მაინვერსორებელში (გ)

ძაბვის დამადაბლებელი (სურ. 3.17, ა) და ამამაღლებელი (სურ. 3.17, ბ) იმპულსური სტაბილიზატორების სქემებში ძალურ გასაღებებად გამოყენებულია მიკროსქემის შიგა ელემენტები (VT2 ტრანზისტორი და D1 დიოდი, სურ. 3.15), ხოლო ძაბვის მაინვერსირებელ სტაბილიზატორში (სურ. 3.17, გ) გამოსავალი სიმძლავრის გაზრდის მიზნით სქემაში ჩაყვნებულია გარეშე ძალური გასაღებები: VD დიოდი და VT ტრანზისტორი.

ენერგიის დამგროვებელი ინდუქციურობა L სამივე სქემაში გარეშე ელემენტს წარმოადგენს, რომლის სიდიდე (3.19)-ის თანახმად შეირჩევა ფორმულით

$$L_{\min} = \frac{U_a \cdot t_{on,max}}{2I_{\delta max}}, \quad (3.39)$$

სადაც $I_{\delta max}$ – დატვირთვის (გამოსავალი) დენის მაქსიმალური მნიშვნელობაა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშვნული, სტაბილიზატორის მუშაობის პროცესში გენერატორის სიხშირე და შეესტინების კოეფიციენტი იცვლება. საწყისი სიხშირისა და შეესტინების კოეფიციენტის შეცვლა შეიძლება განახორციელოს ორმა ელემენტმა: კომპარატორმა და დენის შეზღუდვის სქემამ. განვითარებულ სური მოდულატორის კომპარატორი ცვლის ტრანზისტორული გასაღების გამორთული მდგომარეობის ხანგრძლივობას (t_{off}). სანამ სტაბილიზატორის გამოსავალი ძაბვა ნომინალურ (დაკვეთილ) მნიშვნელობაზე ნაკლებია, კომპარატორის გამოსავალზე იარსებებს პოტენციალის მაღალი დონე, რადგან მის პირდაპირ (არამანვერსირებელ) შესასვლელზე მოქმედებს საყრდენი (ეტალონური) $U_b = 1.25$ ვ ძაბვა, ხოლო მაინვერსირებელ შესასვლელზე $K_b U_b = U_b R_1 / (R_1 + R_2) < U_b$ ძაბვა. თუ გამოსავალი ძაბვა U_b გაიზარდა ისე, რომ შესრულდა პირობა $K_b U_b > U_b$, მაშინ კომპარატორი გადაირთვება დაბადი პოტენციალის რევიტში და ტრანზისტორული გასაღები აღარ გაიღება (ე. გაიზრდება t_{on} , ანუ შემცირდება U_b). $K_b U_b < U_b$ პირობის შესრულებისას კომპარატორის გამოსასვლელზე კვლავ აღმოჩნდება პოტენციალის მაღალი დონე, ამიტომ t_{off} შემცირდება და ა.შ.


დენის შეზღუდვის სქემა შედგება დენის გადამწოდისაგან, რომელიც ჩართულია მიკროსქემის მ-13 და მ-14 გამოყენებს შორის. დენის გადამწოდიდან მოხსნილი სიგნალი ცვლის ტრანზისტორული გასაღების ჩართული მდგომარეობის ხანგრძლივობას (t_{on}). დენის გადამწოდის წინაღობა შეირჩევა შემდეგი ფორმულის გამოყენებით $R_f = 0.33/2 I_{\delta max}$. თუ ძაბვა დენის გადამწოდებე 0.33 ვ-ს გადაჭარბებს, მაშინ t_{on} დრო არ შეიზღუდება. როდესაც ძაბვა დენის გადამწოდებე 0.33 ვ-ს გადაჭარბებს, მაშინ ჩაირთვება დენის შეზღუდვის სქემა, რომელიც შეამცირებს ტრანზისტორული გასაღების ჩართული მდგომარეობის ხანგრძლივობას (t_{on}). დატვირთვის გაზრდის დროს ადგილი აქვს t_{off} და ხანგრძლივობის შემცირებას და იმპულსური გარდამქმნელის სიხშირის გაზრდას.

3.3. ტრანსფორმატორული იმპულსური გარდამქმნელები

3.3.1. ერთტაქტიანი იმპულსური გარდამქმნელის მუშაობის ზოგადი საკითხები

ტრანსფორმატორული იმპულსური გარდამქმნელების გაცნობა დავიწყოთ ერთტაქტიანი გარდამქმნელების შესწავლით. ერთტაქტიანი მათ ეწოდებათ იმის გამო, რომ ასეთი გარდამქმნელის გამოსასვლელს (დატვირთვას) ქნერგია გადაეცემა გარდამნის პერიოდის ერთი ნაწილის დროს. თუ ქნერგიის გადაცემა გამოსასვლელზე მიმდინარეობის დროის იმ ინტერვალში, როდესაც ძალური გასაღები და (ჩართულ) მდგომარეობაშია, მაშინ ასეთ გარდამქმნელს პირდაპირსვლიანი (forward) ეწოდება. თუკი გამოსასვლელს ქნერგია ძალური გასაღების ჩაკეტილი (გამორთული) მდგომარეობის დროს მიეწოდება, მაშინ ასეთ გარდამქმნელს უკუსვლიანი (flyback) ეწოდება.

პირდაპირსვლიანი ერთტაქტიანი სქემის მუშაობის სრული ციკლი ორ ეტაპად მიმდინარეობს: ქნერგიის გადაცემის ეტაპი (I ეტაპი) და უქმი სვლის ეტაპი (II ეტაპი). პირდაპირსვლიანი გარდამქმნელის გამარტივებული სქემა მოცემულია 3.18 სურათზე.



სურ. 3.18. პირდაპირსვლიანი ერთტაქტიანი სქემა

I ეტაპის დროს ტრანსფორმატორის პირველად გრაგნილში გამვალი დენი კ მეორეულ გრაგნილში აინდუქციებს i_1 დენს და იმის გამო, რომ VD დიოდზე ამ დროს პირდაპირი ძაბვა მოქმედებს, i_2 დენი მუხტავს C₂ ტენადობას. ძალური გასაღების (S) გამორთვისას (ჩაკეტვისას) დენი პირველად გრაგნილში შეწყდება და ქნერგია გარდამქმნელის გამოსასვლელს E წერტილად დარა მიეწოდება. მეორეულ გრაგნილში კი აღიძერება თვითინდუქციის ემ.ძ. რომელიც ჩაკეტავს VD დიოდს და დატვირთვაში დენი შენარჩუნდება. C₂ კონდენსატორის განმუხტვის შედეგად:


პირდაპირსვლიან ერთტაქტიან გარდამქმნელს გააჩნია რამდენიმე არსებითი ნაკლი:

- ტრანსფორმატორის გრაგნილებში გადინება ერთი მიმართულების დენი, რის გამოც აღგაილი აქვს გულარის ერთმხრივ დამაგნიტებას (გულარის შემაგნიტებას), რომლის შესამცირებლადაც აუცილებელია სხვადასხვა დონისძიების გატარება;

- ძალური გასაღების ჩაკეტვის დროს არ არსებობს ცალკე წრედი ტრანსფორმატორის ინდუქციურიაში დაგროვილი ქნერგიის განსამუშატად. ამიტომ წარმოიქმნება ძაბვის ინდუქციური ამოგარდნები, რომელიც მოქმედებს რა ჩაკეტილ გასაღებებზე ნშირ შემთხვევაში ახდენს მის გარღვევას.

- გამომავალი წრედის შემთხვევითი მოქმედება ჩართვის დროს მწყობრიდან გამოდის გარდამქმნელის ძალური ნაწილი და ამიტომ საჭიროა მოქმედება ჩართვისგან დაცვის საეციალური დონისძიებების გატარება.

ერთტაქტიანი გარდამქმნელის ტრანსფორმატორის ერთპოლარული დენით შემაგნიტების შემცირების უფექტურ საშუალებას წარმოადგენს არამაგნიტური ღრეულის მქონე მაგნიტური გულარის გამოყენება, ხოლო უქმი სვლის რეემში (ძალური გასაღების ჩაკეტილი მდგომარეობა) ტრანსისტორული გასაღების გადამეტაბვის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ტრანსფორმატორის დამატებითი გრაგნილის გამოყენება, რომელიც მოახდენს ინდუქციურიაში დაგროვილი ქვების წერტილში დატერენებას (ქნერგიის რეემუპერაცია). ამ დამატებით გრაგნილს განმაგნიტების ან რეემუპერაციის გრაგნილს უწოდებენ (სურ. 3.19).




სურ. 3.19. ძაბვის ინდუქციური ამოგარდნებისგან ტრანსისტორის დაცვის მეთოდი

გარდამქმნელის მუშა ციკლის I ეტაპზე VD1 დიოდი ჩაკეტილია და რეემუპერაციის გრაგნილში (W₁) დენი არ გადის. მეორე ეტაპზე (უქმი სვლა) ძაბვის ინდუქციური ამოგარდნა აღებს VD1 დიოდს და პირველად გრაგნილის ინდუქციურიაში დაგროვილი ქნერგია W₂ გრაგნილის გაელით განიმუხტება შეკრულ შესასვლელ წრედზე (განმუხტვის დენი ნაჩვენებია წევეტილი წირით).

თანამედროვე ტელეფონებისა და ვიდეომაგნიტოფონების აბსოლუტური უმრავლესობის კვების ბლოკებში გამოყენებულია ქსელური ძაბვის ერთტაქტიანი უქმავლიანი გარდამქმნელები. უკუსვლიან გარდამქმნელებს გააჩნია პირდაპირსვლიანი გარდამქმნელის მსგავსი სქემა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უკუსვლიან

გარდამქმნელში ტრანსფორმატორის მეორეული გრაგნილის საწყისი და ბოლო შებრუნებულადა მიერთებული დატვირთვის წრედთან (სურათზე გრაგნილის საწყისი „.“ ნიშნითა აღნიშნული). უკუსვლიან ერთტაქტიან გარდამქმნელში ენერგიის დაგროვების ეტაპი და დატვირთვისადმი ამ ენერგიის გადაცემის ეტაპი დროში განცალევებულად მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით სქემაში გამოყენებული ტრანსფორმატორი ფაქტოურად ორგრაგნილიანი დროსების ფუნქციას ასრულება.



სურათზე გრაგნილიანი უკუსვლიანი გარდამქმნელის გამარტივებული სქემა

ტრანსფორმატორის მიერ ენერგიის დაგროვების ეტაპზე ძალური გასაღები ჩართულია და პირველი გრაგნილში გაედინება i_1 დენი, რომელიც იზრდება წრფივი ქანონით

$$i_1(t) = \frac{E}{L_1} t, \quad (3.40)$$

სადაც L_1 – პირველი გრაგნილის ინდუქციურობაა.


ძალური გასაღების ჩაეტვის შემდეგ ტრანსფორმატორის პირველი გრაგნილში დენის გავლა შეწყდება და ამის გამო მეორეულ გრაგნილში აღმრული თვითინდუქციის ქმდ. გააღებს VD დიოდს და მეორეული გრაგნილის ინდუქციურობაში დაგროვდი ენერგიით განპირობებული i_2 დენი დამტეხტავს C_3 კონდენსატორს. ამ დროს i_2 დენი წრფივი ქანონით მცირდება

$$i_2(t) = i_1^* - \frac{U_g}{L_2} t, \quad (3.41)$$

სადაც i_1^* – მეორეულ გრაგნილზე დაფანილი ძალური გასაღების ჩაეტვის მომენტში დაფიქსირებული პირველი გრაგნილის დენია;

L_2 – მეორეული გრაგნილის ინდუქციურობაა.


ტრანსფორმატორის პირველი და მეორეული გრაგნილის დენების გრაფიკები წარმოდგენილია 3.21 სურათზე.



სურათზე ტრანსფორმატორის პირველი და მეორეული გრაგნილების დენების გრაფიკი

3.32. ძალური ტრანზისტორული გასაღების პირველი გრაგნილური გარდევნისაგან დაცვა

ერტაქტიანი იმპულსური გარდამქმნელის მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე, ტრანსფორმატორს გრაგნილებზე (ძალური გასაღების ემიტაციური პროცესის დროს) აღგილო აქვთ ძაბვის ინდუქციურ ამოვარდების. ძაბვის ეს ამოვარდები ძალურ გასაღებზე ზემოქმედებისას იწვევს მის პირველი გარდევნას, ამიტომ საჭირო სათანადო ხომების მიღება ძალური გასაღების პირველი გარდევნისაგან დასაცავად. 3.22 სურათზე ნაჩვენებია ძალური გასაღების პირველი გრაგნილური გარდევნისაგან დაცვის ტიპური წრედები.



სურათზე ნაჩვენები გასაღების პირველი გრაგნილური გარდევნისაგან დაცვის

წრედები: მაფიქსირებელი წრედი (ა), დამცავი TRANSIL დიოდის გამოყენება (ბ) და ძაბვის ინდუქციური ამოვარდის შემცვევა წრედი (გ)

3.22 სურათზე ნაჩვენები წრედებიდან უფრო ხშირად R, C, VD მაფიქსირებელი წრედებია გამოყენებული (სურათ 3.22, ა). უკუსვლიან გარდამქმნელში ტრანსფორმატორიდან

დატვირთვისადმი ენერგიის გადაცემის ეტაპზე პირველად გრაგნილში და მასთან მიერთებულ R, C, VD ელემენტებში გაივლის მეორეული გრაგნილიდან დაინდუქციებული დენი. ამ დენით იმუხტება C კონდენსატორი, რომელზეც ძაბვა დამყარებულ რეჟიმში და $\gamma = 0,5$ -ის დროს E ძაბვის ტოლია. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ძალური გასაღების ჩაკეტების დროს პირველად გრაგნილზე მოხდა ძაბვის ამოგარდნა, რომლის ამპლიტუდა კონდენსატორზე არსებულ ძაბვას აღემატება, მაშინ გაიღება VD დიოდი და C კონდენსატორი პირველად გრაგნილის აპარატურად აღმოჩენება მიერთებული, რამაც უნდა გამოიწვიოს კონდენსატორზე და პირველად გრაგნილზე ძაბვების გათანაბრება ძაბვის ამოგარდნის ენერგიის კონდენსატორისადმი გადაცემის შედეგად. კონდენსატორზე მიღებული ძაბვის ნამატი იქნება

$$\Delta U_c = \sqrt{\frac{L_1}{C}} i, \quad (3.24)$$

სადაც L' – ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილისა და მონტაჟის პარაზიტული ინდუქციურობების ჯამია.

კონდენსატორის ტევადობის სათანადო შერჩევით შესაძლებელია მასზე ძაბვის ამოგარდნის ენერგიით გამოწვეული ძაბვის ნაზრის შემცირება და, მაშასადამც, ძალური გასაღების გადამტებაძვის შემცირება.

მაფიქსირებელი წრედის პარამეტრების შერჩევის დროს რეკომენდებულია შემდეგი ფორმულების გამოყენება

$$R \approx \frac{E^2}{0,02P_g}; \quad C = \frac{100}{Rf}. \quad (3.43)$$

VD დიოდის ფუნქციის შესრულება შესაძლებელია დაეკისროს შოტკის სტრაუმედ დიოდებს, 1,5E-ს ტოლი დასაშვები უკუმაბდებით.

3.19. ბ) სურათზე ნაჩვენებ სქემაში ძალური ტრანზისტორული გასაღების ძაბვის ინდუქციური ამოგარდნებისაგან დაცვის მიზნით გამოყენებულია დიოდი TRANSIL.


ძალური გასაღების ძაბვის ინდუქციური ამოგარდნებისაგან დაცვის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგი მთილება, როგორც გამოყენებულია მაფიქსირებელი წრედისა და დამცავი დიოდის კომბინაცია.

3.33. ტრანსფორმატორული ერთბაქტიანი იმპულსური

გარდამქმნელების სქემები

3.23 სურათზე ნაჩვენებ ერთბაქტიანი უკუსვლიანი იმპულსური გარდამქმნელის სქემაში მაღალისიშირეულ ტრანსფორმატორს არ გააჩნია განმამგნიტებელი გრაგნილი. გარდამქმნელის შესაცლელზე მოქმედებს ქსელის გამართველის (ქბ) E მუდმივი ძაბვა,

ხოლო გარდამქმნელის გამოსავალი ძაბვა U_{sh} მიეწოდება დატვირთვას. გამოსავალი ძაბვის სტაბილიზაციის მიზნით ძალური გასაღების მართვის სქემა დაკავშირებულია გარდამქმნელის გამოსავალების, რის გამოც ხორციელდება უარყოფითი უკუკავშირი. კერძოდ, გამოსავალი ძაბვის გაზრდისას მცირდება ტრანზისტორის ბაზაზე მიწოდებული იმპულსების შევსების γ კოეფიციენტი, ე.ი. მართვის სქემა უზრუნველყოფს გარდამქმნელის (ინვერტორის) განედურ-იმპულსური რეგულირების რეჟიმში მუშაობას.



სურ. 3.23. ერთბაქტიანი უკუსვლიანი

გარდამქმნელი განმამგნიტებელი გრაგნილის გარეშე

უკუსვლიანი გარდამქმნელის ძალური გასაღების ჩართული (ლია) მდგომარეობის დროს (t_{on}) ტრანსფორმატორი (იგი უკერ მდგომარეობაშია) ასრულებს ენერგიის ინდუქციური დამტოვებების (დროსების) ფუნქციას, რადგან ამ დროს VD დიოდი ჩაკეტილია და ტრანსფორმატორის მეორეული გრაგნილიდან ენერგია დატვირთვას არ გადაეცემა. მაგრამ დატვირთვაში დენის გაფლა გრძელდება C₂ კონდენსატორის განმუხტვის ხარჯზე.

ძალური VT ტრანზისტორული გასაღების ჩაკეტილი მდგომარეობის დროს VD დიოდი ლია მდგომარეობაშია და ტრანსფორმატორში დაგროვილი ენერგია W₂ გრაგნილით გადაეცემა დატვირთვას. ამავე დროს იმუხტება C₂ კონდენსატორი.

განსახილვები სქემაში გამოსავალი ძაბვის საშუალო მნიშვნელობის რეგულირება შესაძლებელია მართვის იმპულსთა შევსების კოეფიციენტის γ ცვლილებით

$$U_{\text{sh}} = \frac{\gamma}{1-\gamma} (E - \Delta U_{\text{VT}} - \Delta U_1) n - \\ - \Delta U_{\text{VD}} - \Delta U_2 \approx \frac{\gamma}{1-\gamma} nE, \quad (3.44)$$


$$\text{სადაც } n = \frac{W_2}{W_1} = \text{ ტრანსფორმატორის კოეფიციენტი;}$$

$\Delta U_{\text{VT}}, \Delta U_{\text{VD}}, \Delta U_1, \Delta U_2$ – ძაბვის გარდნებია: ლია ძალურ ტრანზისტორზე, ლია დიოდზე, პირველადი გრაგნილის i_1 და მეორეული გრაგნილის i_2 აქტიურ წინაღობებზე.

როგორც (3.44)-დან გამომდინარებას, გამოსავალი ძაბვა არ არის დამოკიდებული დატვირთვის დენზე და გარდამქმნელის სისშირეზე. იგი განისაზღვრება შესავალი (კვების)

გარდამშნელის განხაზილებული სქემის ნაკლია ის, რომ ადგილი აქვს ტრანზისტორული გასაღების კოდექტორის გადამეტაბებას. კერძოდ, ჩაეტან მდგომარეობაში მყოფი ტრანზისტორის ძალურ წრედზე მოქმედი ძაბფის მაქსიმალური მნიშვნელობა $U_{VTmax} = E_{max} + nU_g$. გარდა ამისა, ტრანზისტორმატორის მაგნიტური გულარა განიცდის მუდმივი დენით შემაგნიტებას, რაც იწვევს არამაგნიტური ღრენტს აუცილებლობას და მაგნიტური გულარის ზომების გაზრდას.

ჩაკეტილ ტრანზისტორებით გასაღებზე მოქმედი ძაბვის შემცირებისა და გარდამშენების მძპ-ის გაზრდის მიზნით მაღალხისშირები ტრანსფორმატორს უმატებენ მესამე, გულარის განმამაგნიტებელ გრაგნილს W₃ (სურ. 324). ამ გრაგნილის საშუალებით უკუსკლის ეტაპზე (ტრანზისტორებით გასაღების ჩაკეტილი მდგრმარეობის დროს) ტრანსფორმატორში დაგროვილი ჭარბი ენერგია D დიოდის საშუალებით გადაეცემა გარდამშენების შესახველზე ჩართული ფილტრის კონდენსატორს.




სურ. 3.24. ერთტაქტიანი ჟაუხველიანი გარდამშენელის სქემა
ტრანსფორმაციონის გულარის განმამაგნიტებელი გრაგნილით

325 სურათზე მოცემულია ერთტაქტიანი პირდაპირსვლიანი იმულსური გარდამ-ქმნელის სქემები. 325. ა სურათზე წარმოდგენილ სქემაში VT ტრანზისტორის ჩართული (დია) მდგომარეობის დროს ენერგია პირველადი წაროდან ტრანსფორმატორისა და VD1 დიოდის საშუალებით გადაეცემა დატვირთვასა და C₂ კონდენსატორს. სქემაში გამოყენებულია ფილტრის ღროსველი L₂, რომელიც ჩართულია VD1 დიოდის მიმდევრობით და მისი დანიშნულებაა ამ დიოდში გამავალი დენის შეზღუდვა. გარდა ამისა, ძალური ტრანზისტორის ჩაკეტილი მდგომარეობის დროს L₂ ინდუქციურობასა და VD1 დიოდში დენის უწევებობის უზრუნველყოფად სქემაში გამოყენებულია დამატებითი VD2 დიოდი.

VT ტრანზისტორული გასაღების გამორთული მდგომარეობის დროს დატვირთვა ეკრგიას დაბულობს დამუხტული C_g კონდენსატორისგან. აქვდან გამომდინარე, პირდაპირ-სკლიანი სქემის გამოყენების შემთხვევაში გარდამქნელის გამოსახვლებზე შესაძლებელია ორჯერ მეტი სიმძლავრის მიღება, ვიდრე უძუსვლიანი სქემის შემთხვევაში. ტრანზისტორის კოლექტორის დენს აქს მართვულთა ფორმა, ხოლო ამ დენის სიდიდე

დამოკიდებულია ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილის ინდუციურობის სიდიდეზე,
დატვირთვის R_d წინაღობაზე და ფილტრის კონდენსატორის C_f ტემპერატურაზე.



სურ. 3.25. ქროტაქტიანი პირდაპირებულიანი გარდამშენებლი:

განმამდგნიტებელი გრაფინის გარეშე (ა) და განმამდგნიტებელი გრაფინით (ბ)


პირდაპირ სეგლიანი გარდამექნებლის სქემაში ტრანზისტორული გასაღების ჩაკეტისას ადგილი აქვს ტრანსფორმატორის პირველად გრაგნილზე ძაბვის ინდუქციურ ამოგარდნას და ტრანზისტორის გადამეტყვაბეჭას. გადამეტყვაბეჭისა და მშტ-ის გასაზრდებლად გარდამექნებლის ტრანსფორმატორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს განმამაგნიტებელი გრაგნილი (სურ. 325, ბ). გარდა ამისა, მაგნიტოგამტარის გაჯერების თავიდან ასაცილებელად W_1 და W_3 ხვეულთა რიგები უნდა იყოს ერთნაირი.

როდესაც VT ტრანზისტორი ჩართულია (დია) ამ დროს მაგნიტური გულარი მაგნიტდება. VT ტრანზისტორის ჩაკეტვის შემდეგ ჩაიკტება VD1 დიოდიც და მაგნიტოგამტარში დაგროვილი ენერგია W_3 გრაგნილისა და D დიოდის საშუალებით გადაეცემა ენერგიის პირელად წყაროს (იმუქტება C კონდენსატორი). ჩაკეტილ ტრანზისტორულ გასაღებზე მოქმედებს კვების წყაროსა და W_3 გრაგნილიდან W_1 გრაგნილში დაინდუქტირებული ძაბვათა ჯამი, რომელიც დაახლოებით 2E-ს ტოლია.

ამგვარად, პირდაპირ სელიან გარდამქნედს აქვთ შედარებით რთული სქემა, მისი ტრანსფორმაციონი არ არის საკმარისად გამოყენებული და სქემის ელემენტებზე მოქმედებს გაზრდილი ძაბვები.

ძალურ ტრანზისტორულ გასაღებაზე მოქმედი ძაბვა შესასვლელზე მოქმედ დ ძაბვამდევ შემცირებული (რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქსელის გამართველიდან პვების შემთხვევაში) და ტრანსფორმატორის კონსტრუქცია გამარტივებულია (აღარა

საჭირო განმამაგნიტებელი გრაგნილი) ერთტაქტიან გარდამქმნელში, რომელიც აწყობილია ნახევრად ბოგური სქემის მიხედვით (სურ. 3. 26). ამ სქემაში VT1 და VT2 ტრანზისტორები იღებიან (მართვის სისტემის საშუალებით) ერთდროულად.



სურ. 3.26. ერთტაქტიანი ნახევრადბოგური გარდამქმნელის სქემა

და VT1 და VT2 ტრანზისტორების საშუალებით (ტრანსფორმატორისა და დია VD3 დიოდის გავლით) პირველადი წეაროს ქნერგია გადაეცემა დატვირთვას. დატვირთვისადმი ქნერგიის გადაცემის ეტაპზე ტრანსფორმატორის გულარი დამაგნიტდება i_s დენით პირდაპირი მიმართულებით. აღნიშნული ტრანზისტორების ჩაკეტვის დროს W_1 გრაგნილში აღძრული თვითინდუქციის ქმ. აღებს VD1 და VD2 დიოდებს და ამ გრაგნილში დაგროვილი ქნერგია დაიცლება C კონდენსატორზე. ნახევრად ბოგურ სქემაში ტრანზისტორებზე მოქმედი ძაბვა არ აღმატება შესავლელზე მოქმედ E ძაბვას, ხოლო როდესაც ჩაკეტილია VT1 და VT2 ტრანზისტორები W_1 გრაგნილი ასრულებს განმამაგნიტებელი გრაგნილის ფუნქციასაც (აღარ არის საჭირო დამატებითი W_3 გრაგნილი). ნახევრადბოგური სქემის ნაკლად უნდა ჩათვალოს ძალური ელემენტების გაზრდილი რაოდგნობის საჭიროება.

3.34. ერთტაქტიანი იმპულსური გარდამქმნელების მართვის მიკროსქემები

ერთტაქტიანი იმპულსური გარდამქმნელების მართვისათვის შექმნილია მართვის მიკროსქემების ფართო ნომერკლატურა. ერთტაქტიანი გარდამქმნელების მართვის მიკროსქემების ძირითადი პარამეტრები მოცემულია 3.3 ცხრილში.

ერთტაქტიანი გარდამქმნელების მართვის მიკროსქემები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ძალური ტრანზისტორების არშემცველი იმსები ერთტაქტიანი უკუსვლიანი გარდამქმნელების მართვისათვის (მაგალითად, TDA4601, TDA4605);


- ნებისმიერი სახის ერთტაქტიანი გარდამქმნელის (იმპულსური სტაბილიზატორების ჩათვლით) მართვის მიკროსქემები (მაგალითად, UC3842, UC3844);

• ერთტაქტიანი ბიმ კონტროლერები ჩაშენებული მდლავრი კელით მართული (ლონ) ან ბიპოლარული ტრანზისტორებით (მაგალითად, PWR-SMP210, PWRTOP200-4/14).

33. ცხრილი

| იმს-ის ტიპი (ანალოგი) | ფუნქციური დანიშნულება | $U_{\text{აუ}} \cdot 3$ | $I_{\text{გამ}} \cdot \Delta$ | $f_{\text{ტ}} \cdot \text{გვ}$ |
|--------------------------|--|-------------------------|-------------------------------|--------------------------------|
| TDA4601 (1033EY1) | ერთტაქტიანი უკუსვლიანი გარდამქმნელის კონტროლერი | 20 | 1.5 | 90 |
| TDA4605 (1033EY5) | ლონ ტრანზისტორიანი ერთტაქტიანი უკუსვლიანი გარდამქმნელის კონტროლერი | 20 | 1.5 | 250 |
| TDA2582 (KP1021XAI) | ბიმ კონტროლერი მასინქრონებული მოწყობილობით | 10...14 | 0.04 | 100 |
| UC3842 (1033EY10) | მდლავრი ლონ ტრანზისტორის ერთტაქტიანი ბიმ კონტროლერი შეცვების კოუფიციენტით $\gamma=100\%$ | 30 | 1.00 | 500 |
| UC3844 (1033EY11) | მდლავრი ლონ ტრანზისტორის ერთტაქტიანი ბიმ კონტროლერი შეცვების კოუფიციენტით $\gamma=50\%$ | - | - | - |
| UC3823 (1256EY3) | ერთტაქტიანი მარალისის შერეცელებული ბიმ კონტროლერი | 30 | 1.5 | 1000 |
| PWR-SMP210 (1033EY9) | ერთტაქტიანი ბიმ კონტროლერი ჩაშენებული მადლავრი ლონ ტრანზისტორით | 30...400 | 0.8 | 800 |

327. ა სურათზე წარმოდგენილია ერთტაქტიანი გარდამქმნელების მართვისათვის გამოყენებული უნივერსალური UC3842 ტიპის იმს-ის სტრუქტურული სქემა. მიკროსქემის შემადგენლოვაში შედის: გარეშე, სისშირის დამკვეთი, R_T და C_T კლემენტიანი გენერატორი; გაუთანხმოების (შეცდომის) სიგნალის მადლიერებელი (ბსმ); განედურიმპულსური მოდულატორი (ბიმ); +5 საყრდენი ძაბვის წყარო (სძმ); გამოსავალი სიმძლავრის მადლიერებელი (დრაივერი); ძალური ტრანზისტორის დენური გადატვირთვისგან დაცვის, აგრეთვე შემცირებული შესავალი და საყრდენი ძაბვისგან დაცვის ელემენტები.




სურ. 3.27. ერთბაქტიანი გარდამქნელების მართვის
UC3842 ტიპის მიკროსქმა (ა) და მაბეჭდის გრაფიკები (ბ)

ინტეგრირებული მიკროსქმა შემდეგნაირად ფუნქციონირებს. დამკვეთი გენერატორი (დგ), რომლის შემადგენლობაშიც შედის სიხშირის დამკვეთი R_T და C_T ელემენტები, გამოიმუშავებს ბიტის მართველ მატებულებებს. C_T კონდენსატორი იმუხტება საყრდენი მაბეჭის წყაროდან +2,8 ვ მაბეჭადე, რის შემდეგაც იგი განიმუხტება +1,2 ვ მაბეჭამდე კონდენსატორზე არსებული მაბეჭის ფორმა ნაჩვენებია 3.27, ბ სურათზე. C_T კონდენსატორის განმუხტვის დროს გენერატორი გამოიმუშავებს U_d მაბეჭოფირტებდ მატებულს, რომელიც განსაზღვრავს პაუზის („მკვდარი დრო“) სანგრძლივობას. პაუზის სანგრძლივობის (t_d) დაყვნება ხდება C_T ტეპადობის შეცვლით. C_T -ს გაზრდისას პაუზის სანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს გენერატორის სიხშირის ნახევარი პერიოდის შესაბამის სიდიდეში. ამ შემთავევაში შევსტის კოეფიციენტი γ მიაღწევს 0,5-ს.

U_d მატებულის შეწვეტის შემდეგ ბიტის სქმა დრაივერის (სიმძლავრის მატლიერდების) გადასაცემით გარეშე გვლით მართული VT ტრანზისტორს აწვდის გამდება სიგნალს. თუ ეს მიკროსქმა გამოყენებულია უძუსვლიანი გარდამქნელის მართვისათვის, მაშინ VT ძალური ტრანზისტორის დენი ისრდება წრფივი კანონით მანამდე, ვიდრე დენის

R_{T_0} გადამტოდიდან მოისწოდი მაბეჭადება U_{d_0} არ გაუტოლდება გაუთანხმოების სიგნალის მატლიერდების გამოსავალ მაბეჭადება U_{d_0} . ამ მაბეჭათა გატოლდების მომენტში შეწყდება ტრანზისტორის ჩასადინარის დენის ზრდა და გამომუშავდება ჩამომგდები იმპულსი, რომელიც მოახდენს VT ძალური ტრანზისტორის ჩაკეტვას. იმს-ის გამოსავალი მაბეჭადება U_{d_0} მოისწოდება მე-6 გამომყვანიდან და იგი მოდულირებულია სიგანის მიხედვით (სურ. 3.27, ბ).

3.28. ა სურათზე მოცემულია გენერატორის სიხშირის დამოკიდებულება სიხშირის დამკვეთი ელემენტების (R_T, C_T) პარამეტრებზე.



სურ. 3.28. გენერატორის სიხშირისა და სიხშირის დამკვეთი ელემენტების პარამეტრების დამოკიდებულება მუშა სიხშირეზე

მიერთსქემის მწარმოებელი ფირმის რეკლამური ციფრის მიხედვით C_T ტეპადობის სიდიდე აიღება ფარგლებში $C_T=100\text{pF}...10\text{nF}$, ხოლო R_T წინადიბის სიდიდე $R_T=1...10$ კომ ფარგლებში. პაუზის ფარგლობითი სიდიდის დამოკიდებულება გენერატორის სიხშირესა და C_T ტეპადობაზე მოცემულია 3.28, ბ სურათზე. როგორც ამ დამოკიდებულების ამსახველი გრაფიკიდან ჩანს, პაუზის ხანგრძლივობა $C_T \geq 1\text{nF}$ შემთხვევაში შესაძლებელია იცვლებოდეს პერიოდის 1-დან 50%-მდე ფარგლებში. C_T ტეპადობის 100 pF-მდე შემცირებისას პაუზის ფარგლობითი ხანგრძლივობა დახლოებით 5-ჯერ მცირდება და არ აღვარტებს 10%-ს.

UC3842 ტიპის მიკროსქმაზე აწყობილი ერთბაქტიანი უკუსვლიანი გარდამქნელის სქმაში მართვის მიკროსქმასთან ერთად, გარდამქნელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფად, გამოყენებულია რიგი დამატებითი გარეშე ელემენტებისა. კერძოდ:

- დენის გადამტოდის წრედში ჩართულია R_6, C_4 ფილტრის ელემენტები ძლური VT ტრანზისტორის კომუტაციური პროცესების დროს აღმრუდი პარაზიტული დაპრეოლებების ჩასაშობად;

- უპეპაშირის მაბეჭადება მოისწოდება ტრანსფორმატორის დამოუკიდებელი W_3 გრაგნილიდან. ეს მაბეჭა გაიმართება VDI დოკლით, გაიფილტრება C_3 კონდენსატორით და R_1, R_2 მაბეჭის გამყოფით მიერთება მსმის შესასვლელს (იმს-ის მე-2 გამომყვანი);


• გამოსავალი ძაბვა მოიხსენება ძალური ქსელისაგან გალვანურად იზოლირებული W_2 გრაგნილიდან;

• გარდამქმნელის მდგრადი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით გსმ-ის გამოსასვლელია (0მს-ის 1 გამომყვანი) და მაინვერსირებელ შესასვლელი (0მს-ის მე-2 გამომყვანი) შორს ჩართულია საკორექციო R_3, C_2 წრედი;

• 0მს-ის გამოსავალი დენის შესახებული მიკროსქემის მე-6 გამომყვანსა და VT ძალური ტრანზისტორის საკეტს შორის ჩართულია R_5 წინაღობა;

• ძალური VT ტრანზისტორის გადართვის ტრაქტორის ფორმირებისათვის ტრანზისტორის ჩასაძინარის წრედში ჩართულია C5, R7, VD3 მაფორმირებული წრედი;

• გარდამქმნელის გაშებამდე მიკროსქემას კვების ძაბვა მიეწოდება ქსელის გამართველიდან R4 წინაღობის გავლით, ხოლო გარდამქმნელის გაშების შემდეგ მიეწოდება W_3 გრაგნილის გამართული ძაბვა.



სურ. 3.29. UC3842 ტიპის მიკროსქემაზე

აწყობილი ერთაქტივიანი უუსასვლიანი გარდამქმნელის სქემა


3.3.5. ორტაქტიანი იმპულსური გარდამქმნელები

3.3.5.1. ორტაქტიანი იმპულსური გარდამქმნელების ბაზისური სქემები

ორტაქტიანი იმპულსური გარდამქმნელების სქემებში ენერგია პირველადი წყაროდან გარდამქმნელის გამოსასვლელს გადაეცემა მუშა სიხშირის ორივე ნახევარპერიოდის დროს. გარდაქმნის ორტაქტიან სქემებს, როგორც წესი, გამოიყენებენ ისეთი კვების წყაროების შესაქმნელად, რომელთაგანაც დატვირთვა მოითხოვს გაზრდილი სიმძლავეებს (200 ვტ და მეტი). პრაქტიკაში გავრცელებულია ორტაქტიანი იმპულსური გარდამ-

ქმნელების სამი სახის სქემა: ორფაზა (push-pull), ნახევრად ბორგური (half-bridge) და ბორგური (full-bridge).

ორგაზება სძმება. 3.30, ა სურათზე ნახვენებია ორფაზა გარდამქმნელის გამარტივებული სქემა. სქემაში ძალურ გასასადებად გამოყენებულია ველით მართული ტრანზისტორი (დონ ტრანზისტორი). ტრანსფორმატორის (ტრ) როგორც პირველადი, ისე მეორეული გრაგნილი შეიცავს ორ ნახევარგრაგნილს. პირველადი გრაგნილის შესა წერტილთან მიერთებულია ველის წყარო, ხოლო მეორეული გრაგნილის წრედი წარმოქმნის ორნახევარპერიოდიან ნულოვანგამომყვანიან გამმართველას.



სურ. 3.30. ორფაზა გარდამქმნელის ბაზისური სქემა

ორფაზა გარდამქმნელის მუშა ციკლი მიმდინარეობს ორი ეტაპის სახით. პირველ ეტაპზე, როგორც ეს 3.30, ბ სურათზე ნახვენები, ჩართულია VT1 ტრანზისტორი, ხოლო VT2 ტრანზისტორი გამორთულია. ამიტომ დენი გადინება $W_{1,1}$ ნახევარგრაგნილში და იგი ტრანსფორმირდება $W_{2,1}$ ნახევარგრაგნილში. იღება VD1 დიოდი და მასში გამავალი დენი დამუხტავს ფილტრის C_2 კონდენსატორს. მეორე ეტაპზე (სურ. 3.30, გ) გამოირთვება VT1 ძალური ტრანზისტორი, ხოლო VT2 ტრანზისტორი ჩაირთვება (ძალური ტრანზისტორების ჩართვა-გამორთვას ანხორციელებს მართვის სისტემა, რომელიც სურათზე ნახვენები არ არის). ამ ეტაპზე დენი გაედინება $W_{1,2}$ ნახევარგრაგნილში და იგი ტრანსფორმირდება $W_{2,2}$ ნახევარგრაგნილში. იღება VD2 დიოდი (VD1 იკეტება) და მასში გამავალი $i_{2,2}$ დენი დამუხტავს ფილტრის C_2 კონდენსატორს. ამგვარად, ენერგია დატვირთვას გადაეცემა მუშა ციკლის ორივე ეტაპზე.

ნახრული VT1 და VT2 ტრანზისტორული გასასადებობის დროს ტრანსფორმატორის მეორეული გრაგნილის ცალკეულ ნახევარგრაგნილზე მიიღება ძაბვები

$$U_{2,1} = nE; U_{2,2} = nE.$$

იმის გამო, რომ მეორეულ გრაგნილში ტრანსფორმირებული ძაბვა დატვირთვას მიეწოდება ორნახევარპერიოდიანი გამართვის შედეგად, დატვირთვაზე იმოქმედებს ძაბვა


$$U_g = nE, \quad (3.45)$$

$$\text{სადაც } n = \frac{W_{2,1}}{W_{1,1}} = \frac{W_{2,2}}{W_{1,2}} - \text{ტრანსფორმატოის კოეფიციენტია.}$$

დატვირთვაზე მოქმედი ძაბფის რეგულირება, ისე როგორც ერთტაქტიან გარდამქმნელში, ორტაქტიან გარდამქმნელშიც სირციელება შევსების კოეფიციენტის ცვლილების შედეგად

$$\gamma = \frac{t_{on}}{T}, \quad (3.46)$$


სადაც γ – ერთი ტრანზისტორული გასაღების დრა მდგრმარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის (t_{on}) ფარდობაა კომუტაციის T პერიოდთან (სურ. 3.31).



სურ. 3.31. შევსების კოეფიციენტის განსაზღვრისათვის

ამგვარად, ორტაქტიან გარდამქმნელში შევსების კოეფიციენტი უნდა განისაზღვროს სქემის ერთი მხრისათვის. დატვირთვისადმი გადაცემული სრული ენერგია ამ სახის გარდამქმნელში ერთი მხრის მუშაობის პროცესში გადაცემული ენერგიის გაორმაგებული სიდიდის ტოლი იქნება. ამიტომ დატვირთვაზე მიღებული ძაბფის საშუალო მნიშვნელობა

$$E_{\text{გ}} = \frac{2}{T} \int_0^{t_{on}} nEdt = \frac{2t_{on}}{T} E = 2\gamma nE. \quad (3.47)$$




სურ. 3.32. ორგაზა სქემის მუშაობის ამსახველი გრაფიკები

ცხადია, ერთი მხრისათვის შევსების კოეფიციენტი იდეალური სქემური ელემენტების შემთხვევაშიც კი არ შეიძლება აღმატებოდეს 0.5-ს (სურ. 3.32). ამავე დროს, $\gamma=0.5$ შევსების კოეფიციენტით გარდამქმნელის მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშები, თუ გარდამქმნელის სქემის იდეალური მახასიათებლების მქონე ელემენტებს (ტრანზისტორული გასაღებები, დიოდები და სხვა) გამოვიყენებდით. იმის გამო, რომ გარდამქმნელის სქემაში გამოყენებული ელემენტები არ ფლობენ იდეალურ თვისებებს, გარდამქმნელში მიმდინარე კომუტაციურ პროცესებთან დაკავშირებული გარდამაგალი პროცესების დროს თავს იჩნეს სქემური ელემენტების რეალური მახასიათებლების გავლენა. პირველ რიგში შერადდება უნდა გამახვილდეს შემდეგზე:

•ტრანსფორმატორის პირველად გრაგნილს გააჩნია განსაზღვრული ინდუქციურობა L_μ , რომელშიც გარდამქმნელის მუშაობის დროს გროვდება ენერგია

$$W_\mu = \frac{L_\mu i_\mu^2}{2}. \quad (3.48)$$

VT1 ტრანზისტორული გასაღების ჩაკეტვისას ტრანსფორმატორის მაგნიტოგამტარში დაგროვილი ენერგია ცდილობს შესაბამის ნახვარგრაგნილში გამავალი დენის შენარჩუნებას. ამიტომ უნდა არსებობდეს მაგნიტოგამტარში დაგროვილი ენერგიის განმუსტვის წრედი. ასეთი წრედი იარსებებს, თუ ტრანზისტორული გასაღებების პარალელურად ჩართავთ D1 და D2 დიოდებს (დამცავი დიოდები), როგორც ეს 3.33 სურათზე ნაჩვენები.




სურ. 3.33. რეალურ ორგაზა სქემაში მიმდინარე კომუტაციური პროცესების ახსნისათვის

თუ VT2 ტრანზისტორის პარალელურად არ იქნება ჩართული D2 დიოდი, მაშინ VT1 ტრანზისტორის ჩაკეტვისას $W_{1,2}$ გრაგნილში აღძრული თვითინდუქციის ემდ. VT2 ტრანზისტორზე წარმოქმნის ძაბფის უარყოფით ნახტომის. როდესაც ძაბფის ეს უარყოფითი ნახტომი 1.2 ჭან აღმატება, VT2 ტრანზისტორი მშეცდობდან გამოდის. VT2 ტრანზისტორის პარალელურად ჩართული D2 დიოდი ზემოაღნიშნული თვითინდუქციის ემდ. გავლენით გაიღება, $W_{1,2}$ პრაქტიკულად მოკლედ მიუკრთდება ნულვან სალტეს და მაგნიტო-

გამტარში დაგროვილი ენერგია სწრაფად განიმუხტება (სურ. 3.33, ბ). იგივე ფუნქციას ასრულებს D1 დიოდი. VT2 ტრანზისტორის ჩაკეტვისას ეს დიოდი იცავს VT1 ტრანზისტორს ძაბვის უარყოფითი ნახტომით განპირობებულ შესაძლო დაზიანებისაგან.

• VT1 და VT2 ძალური ტრანზისტორების მუშაობის რეჟიმშე გავლენას ახდენს მაღალი სიხშირის ცვლადი ძაბვის გამმართველის სქემაში გამოყენებული VD1 და VD2 დიოდების ჩაკეტილი მდგომარეობის ალგორითმის პროცესი (პოტენციური პროცესი), რომელიც ფასდება ადგენის t_r დროის მინაკვეთით. დროის ამ მონაკვეთში დიოდი, რომელიც ჩაკეტვას ეჭვმდებარება, ინარჩუნებს და მდგომარეობის შესაბამის მცირე წინაღობას. ამიტომ ეს დიოდი, და მდგომარეობაში გადასულ მეორე დიოდთან ერთად, მოძლევდება ჩაკეტვას ტრანსფორმატორის მეორეულ გრაგნილს, რაც გამოიწვევს პირველი გრაგნილის დენის (და, მაშასადამე, და ტრანზისტორული გასაღების დენის) მკვეთრ გაზრდას (დენის ნახტომს) (სურ. 3.34).



სურ. 3.34. ტრანსფორმატორის გრაგნილებში დენის ცვლილების
ხასიათი გამმართველი დიოდების რეალური პარამეტრების გათვალისწინებით

გამმართველი დიოდების კომუტაციური პროცესების დროს ტრანზისტორულ გასაღებში დენის კატასტროფული ნახტომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ერთი ტრანზისტორის ჩაკეტვისა და მეორე ტრანზისტორის გაღების მომეტებს შორის არსებობენ განსაზღვრული პაუზა („მკვდარი დრო“). ამ პაუზის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს $2t_r$, დროის მონაცემთან ნაკლები. აქედან გამომდინარე, შევსების მაქსიმალური კოეფიციენტი


$$\gamma_{\max} \leq 0,5 - 2t_r f. \quad (3.49)$$

გარდა ამისა, მიზანშეწონილია მაღალსიხშირულ გამმართველში შოტკის სწრაფქედი დიოდების გამოყენება.

პაუზის („მკვდარი დროის“) საჭიროების გამო, ორტაქტიანი გარდამქნევლის მართვის სქემა უნდა შეიცავდეს სპეციალურ კვანძს γ შევსების კოეფიციენტის გარანტირებული


შეზღუდვისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ავარიული სიტუაციები და გამჭოლი დენების არსებობა ძალურ გასაღებებში.

ნახევრად ბოგური და პოტენციური სიმძლავი. ორტაქტიანი ნახევრად ბოგური გარდამქნევლის სქემა ნაჩვენებია 3.35 სურათზე.



სურ. 3.35. ორტაქტიანი ნახევრად ბოგური გარდამქნევლის სქემა

ამ სქემაში, როდესაც VT1 ტრანზისტორიდან და მდგომარეობაში, დამუხტული C1 კონდენსატორის ენერგია გადაეცემა დატენტოვას და ენერგიის დამტოვებულ $L_3 C_3$ ფილტრს. ერთდროულად ადგილი აქვს C2 კონდენსატორის შემუხტვას. VT2 ტრანზისტორის და მდგომარეობის დროს დატენტოვასა და ფილტრს გადაეცემა დამუხტული C2 კონდენსატორის ენერგია. ერთდროულად მიმდინარეობს C1 კონდენსატორის შემუხტვა. C1 და C2 კონდენსატორებზე აწყობილი ძაბვის გამოყიფის შეა წერტილის (A წერტილი) პოტენციალი იცვლება $E/2$ პოტენციალის მიმართ 3.36 სურათზე ნაჩვენები დიაგრამის მიხედვით.



სურ. 3.36. ტევადობითი გამყოფის შეა წერტილის პოტენციალის
ცვლილების ხასიათი

ტევადობით გამყოფზე წარმოიქნება U_{\square} პულსაციის ძაბვა. იმისათვის, რომ პულსაციის ამპლიტუდამ არ გადააჭარბოს დასაშვებ დონეს, კონდენსატორების ტევადობები უნდა შეირჩეს შემდეგი ფორმულის გამოყენებით

$$C1 = C2 = 0,2 \frac{i_{d\max}}{U_{\square} f} \quad (3.50)$$

სადაც U_0 – პულსაციის დასაშვები დონეა კონდენსატორებზე;

i_{dmax} – ტრანზისტორის ჩასაძინარის დენის მაქსიმალური მნიშვნელობაა.

ორტაქტიანი ორფაზა გარდამქმნელის ანალოგიურად, ნახევრად ბოგურ გარდამქმნელშიც საჭიროა დაცული იქნას განსაზღვრული პაუზა („მკვდარი დრო“) VT1 ტრანზისტორის ჩაკეტვისა და VT2 ტრანზისტორის გაღების (და პირიქით, VT2 ტრანზისტორის ჩაკეტვისა და VT1 ტრანზისტორის გაღების) მომენტებს შორის. პაუზის დროს ორივე ტრანზისტორი ჩაკეტილია, ხოლო დატყირთვა ენერგიას ლებულობს ფილტრის დამუხტული კონდენსატორისაგან.

გამომავლი გამართებულის VD1 და VD2 დიოდების გაღება მიმდინარეობს VT1 და VT2 ტრანზისტორების გაღების სინქრონულად. პაუზის დროს კი ფილტრის ინდუქციურობაში (L_g) აღმრული თვითინდუქციის ე.მ.კ. ერთდროულად აღებს ორივე დიოდს და L_g ინდუქციურობაში დაგროვდილი ენერგია განიმუხტება და დიოდებით შეკრულ წრედზე.


დატყირთვაზე მოქმედი ძაბვის საშუალო მნიშვნელობა ორტაქტიან ნახევრად ბოგურ სქემაში ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ორტაქტიან ორფაზა (push-pull) სქემაში.

$$E_g = mE. \quad (3.51)$$

ორტაქტიან ნახევრად ბოგურ სქემაში ჩაკეტილ ტრანზისტორებზე მოქმედებს კვების წაროს ძაბვა

$$U_{dmax} = U_{c1} + U_{c2} = E. \quad (3.52)$$


3.37 სურათზე მოცემულია ორტაქტიანი ბოგური გარდამქმნელის სქემა. ბოგურ სქემაში გამოყენებულია ოთხი ტრანზისტორი VT1...VT4, რომელთა გაღება და ჩამოტკიცვა მიმდინარეობს წყვილ-წყვილად: მუშა ციკლის ნახევარი პერიოდის მანძილზე ჩართულია (დიად) VT1 და VT2 ტრანზისტორები, ხოლო მეორე ნახევარპერიოდის მანძილზე – VT3 და VT4 ტრანზისტორები.




სურათზე მოცემულია ორტაქტიანი ბოგური გარდამქმნელის სქემა

ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილი თითოეული ნახევარპერიოდის დროს მიუკროდება კვების წაროს პლუსს განსხვავებული ბოლოებით, რის გამოც მასში

გაივლის სხვადასხვა მიმართულების დენი. პირველადი გრაგნილის დენი წარმოსდგება სხვადასხვა პროდარობის ტრანზისტორის მიმულსების თანამიმდევრობის სახით. ამ იმპულსებს შორის არსებობს დამცავი პაუზა („მკვდარი დრო“) (სურ. 3.38)



სურ. 3.38. ბოგური გარდამქმნელის
ტრანზისტორების პირველადი
გრაგნილის დენის ფორმა



სურ. 3.39. დაფენითი და უარყოფითი
იმპულსების არასიმეტრიულობა
ბოგურ სქემაში

დადგენითი და უარყოფითი იმპულსების არასიმეტრიულობის (ხანგრძლივობის მიხედვით) შემთხვევაში, რაც შეიძლება გამოიწვიოს ტრანზისტორების კომუტაციის ხანგრძლივობათა შორის განსხვავებამ, წნევება მაგნიტოგამტარის შემაგნიტებელი დენი დედობით შემაგნიტების დენი გამოითვლება ფორმულით

$$i_\mu = \frac{1}{T} \int_0^T [i^+(t) - i^-(t)] dt. \quad (3.53)$$

მაგნიტოგამტარის მუდმივი დენით შემაგნიტების გამო, დამაგნიტების სიმეტრიული ციკლი ირდვება და მაგნიტოგამტარი შედის გაჯერების რეჟიმში, რაც იწვევს ტრანზისტორების ჩასაძინარში დენის ამპლიტუდის მკვეთრ გაზრდას. მაგნიტოგამტარის მუდმივი დენით შემაგნიტების თავიდან ასაცილებლად პირველადი გრაგნილის მიმდევრობით უნდა ჩაირთოს C_μ კონდენსატორი. კონდენსატორის სიდიდე გაიანგარიშება ფორმულით


$$C_\mu \geq 0,1 \frac{i_{dmax}}{U_0 f}. \quad (3.54)$$

ბოგური გარდამქმნელის დატყირთვაზე მოქმედი ძაბვის საშუალო მნიშვნელობა, ორფაზა ორტაქტიანი გარდამქმნელის ანალოგურად, ეტოლება


$$E_g = 2mE. \quad (3.55)$$

ნახევრად ბოგურ და ბოგურ გარდამქმნელებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მართვის იმპულსების შევსების კოფიციენტის შეზღუდვისა და იმპულსთა შორის პაუზის („მკვდარი დრო“) საკითხი. როგორც 3.20 სურათიდან ჩანს, თუ $\gamma = 0,5$, მაშინ ჩამკეტი იმპულსის მიწოდებისას VT1 ტრანზისტორი ვერ ასწრებს ჩაკეტვას VT2 ტრანზისტორის გაღებამდე. ამიტომ ერთდროულად და მდგომარეობაში აღმოჩენება როგორც VT1, ისე VT2 ტრანზისტორი, ტრანზისტორებში გამოვლის გამჭოლი დენი, რასაც მწყობრიდან

გამოჰყავს ეს ტრანზისტორები. გამჭოლი დენისგან დაცვის მიზნით საკომუტაციო იმპულსები ტრანზისტორებს უნდა მიეწოდოს დროში დაძრულად (პაუზით) (სურ. 3.41).




სურ. 3.40. გამჭოლი დენი ორგაქტიან
ნახევრად ბოგურ და ბოგურ სქემაში



სურ. 3.41. გამჭოლი დენისგან დაცვის
მეორედი

ნახევრად ბოგურ და ბოგურ ორგაქტიან გარდამქმნელებში გარევეული პრობლემები წარმოიქნება ძალურ ტრანზისტორულ გასაღებებზე მართვის იმპულსების მიწოდების ტექნიკური რეალიზაციის დროს. მართვის სისტემა ჩვეულებრივ აიგება იმ პრინციპით, რომ მისი გამოსავალის სიგნალის (განედურად მოდულირებული სიგნალი) მიწოდება ხდება გასაღების მართვის ელექტროდსა და საერთო სალტეს (ნულოვანი პოტენციალის სალტე) შორის. როგორც 3.42, ა სურათიდან ჩანს, ეს პრინციპი აღვილად რეალიზებადია VT2 ტრანზისტორისათვის (ჰედა დონის ტრანზისტორი). რაც შევხება VT1 ტრანზისტორის მართვას (ზედა დონის ტრანზისტორი), მისთვის ამ პრინციპის უშეადო განხორციელება შეუძლებელია, რადგან როცა VT2 ტრანზისტორი ჩაკეტილია, ხოლო VT1 ტრანზისტორი დია, მაშინ VT1 ტრანზისტორის სათავის პოტენციალი განისაზღვრება კვების წყაროს ძაბვით (და არა ნულოვანი სალტეს პოტენციალით). აქედან გამომდინარე, VT1 ტრანზისტორის მართვისათვის საჭიროა ნულოვანი სალტისგან გაღვანურად იზოლირებული სქემა. ამ პრობლემის გადაჭრის კლასიკურ მეთოდს მართვის იმპულსების მისაწოდებლად ტრანსფორმატორის გამოყენება წარმოადგენს (სურ. 3.42, ბ).



სურ. 3.42. ორგაქტიან ნახევრად ბოგურ და ბოგურ სქემებში ძალური
გასაღებების მართვის პრობლემის ასახველად

ამ, ესამად, ნახევრად ბოგური და ბოგური ორგაქტიანი გარდამქმნელების ზედა და ქვედა დონის ძალური ტრანზისტორული გასაღებების მართვისათვის დამუშავებულია საეციალიზებული მიკროსქემები (დრაივერები). დრაივერის გამოსავლების მიღება მართვის ძაბვები ზედა და ქვედა დონის ძალური ტრანზისტორებისათვის, მიღებულია ზომები საჭირო მმართველი დონეების უზრუნველსაყოფად და შექმნილია გაღვანური გართვის ექვივალენტი. გარდა ამისა, მიკროსქემა ასრულებს დაცვის დამატებით ფუნქციებსაც.

3.3.5.2. ორგაქტიანი იმპულსური

გარდამქმნელების მართვის ინტეგრალური მიკროსქემები

ორგაქტიანი იმპულსური გარდამქმნელების მართვისათვის დამუშავებულია და პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ინტეგრალური მიკროსქემები. ზოგიერთი მათგანის ძირითადი მახასიათებლები (პარამეტრები) მოცემულია 3.4 ცხრილში.

3.4 ცხრილი


| იმს-ის ტიპი (ანალოგი) | ფუნქციური დანიშნულება | $U_{\text{ფ.}} \text{V}$ | $I_{\text{დამ.}} \text{A}$ | $f_{\text{e.}} \text{Hz}$ |
|--------------------------|--|--------------------------|----------------------------|---------------------------|
| SG1524 (1114 EY1) | ორგაქტიანი ბიმ კონტროლერი | 36 | 0.10 | 200 |
| TL494 (1114EY3/4) | ორგაქტიანი ინვერტორის ბიმ კონტროლერი | 36 | 0.20 | 400 |
| TL495 (1114EY5) | ორგაქტიანი ინვერტორის ბიმ კონტროლერი | 40 | 0.20 | 300 |
| UC3825 (1156EY2) | ორგაქტიანი ინვერტორის მაღალისიზორული ბიმ კონტროლერი | 30 | 1.50 | 1000 |
| UC3875 (1156EY4) | ბოგური ინვერტორის ფაზის წამნაცვლებული მართვის რეზონანსული კონტროლერი | 8...10 | 0.03 | 50 |

ცხრილში მითითებული ყველა მიკროსქემა გამოიმუშავებს ერთმანეთისგან პაუზით განცალებებულ მმართველი იმპულსების ორ თანამიმდევრობას. მიკროსქემის გამოსავალი (მართვის) იმპულსების სიმეტრიულობას უზრუნველყოფს მიკროსქემის სტრუქტურაში შემავალი ტრიგერული სისტემის გამოყოფი. მიკროსქემის გამოსასვლელზე მიღებული იმპულსთა სიხშირე თრაქე ნაკლებია დამკვეთი გენერატორის სიხშირეზე. ცხრილში ნაჩვენები მიკროსქემების გამოყენება შესაძლებელია ერთგაქტიანი გარდამქმნელების

მართვისთვისაც, თუ ამ მიკროსქემის ორივე გამოსახულებს გავაერთოანებთ. ამ შემთხვევაში გამოსახადი იმპულსების სიხშირე გაუტოლდება დაქვეთი გენერატორის სიხშირეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთგაქტიანი გარდამქმნელების მართვის ინტეგრალური მიკროსქემისგან განსხვავებით, ორტაქტიანი გარდამქმნელების მართვის იმსები არ შეიცავს ჩაშენებულ ძალურ ტრანზისტორულ გასაღებებს.

3.43. ა) სურათზე მოცემულია IBM-PC ტიპის კომიუტერების კვების ბლოკებში შემავალი ორტაქტიანი ინვერტორების მართვისთვის ფართოდ გამოყენებული TL494 ტიპის მიკროსქემის გამარტივებული სტრუქტურული სქემა (რუსული ანალოგი 1114ERY4).



სურ. 343. ორტაქტიანი გარდამქმნელების მართვისთვის გამოყენებული TL494 ტიპის მიკროსქემის სტრუქტურული სქემა (ა) და მისი შემაობის მაილუსტრირებელი გრაფიკები (ბ)

მიკროსქემის შემადგენლობაში შედის შემდეგი კვანძები:

- დამკვეთი გენერატორი გარეშე სიხშირულაგადებელი C_T, R_T კლემენტებით;
- საერთო გამოსახულების მქონე გაუთანხმოების (ჭყვილის) სიგნალის თრი მაძლიერებელი ბსმ1 და ბსმ2;
- ბიტის და პაუზის კომიტატორები, რომლებიც გამოიმუშავებენ გარანტირებულ პაუზიან მართვის იმპულსებს;
- იმპულსთა თრი თანამიმდევრობის მაფორმირებელი ტრიგერი – სიხშირის გამყოფი;


•+5 ვ საყრდენი ძაბეის წყარო;

- კვებისა და საყრდენი ძაბების მომეტებული შემცირებისგან დაცვის სქემები;
- იმპულსთა თრი თანამიმდევრობის მაძლიერებელი გამოსახალი მძლავრი (მძლავრი) კასკადები (დრაივერები).

TL494 მიკროსქემა შემდეგნაირად მუშაობს. დამკვეთი გენერატორი (RC გენერატორი) გამოიმუშავებს ხერხისებურ ძაბვას, რომლის სიხშირის დაუცილდება 0.05-ის მუხლის და მუხლის გამომყვანებული C_T და R_T გარეშე კლემენტების საშუალებით.

გამოსახალი იმპულსების სიგანის მოდულაცია მიიღწევა ხერხისებური ძაბეისა და გაუთანხმოების მაძლიერებლების გამოსახალი სიგნალის შედარების გზით (სურ. 343, ბ). შედარების შედევად მიიღია სიგანის მიხედვით მოდულირებული იმპულსთა U_c ერთი თანამიმდევრობა, რომლიც მიეწოდება ტრიგერს T. ტრიგერის გამოსახულებიდან გამოდის იმპულსთა თრი თანამიმდევრობა Q და \bar{Q} , რომლებიც დოგიური სქემის დახმარებით გარდაიქმნება სიგანის მიხედვით მოდულირებულ თანამიმდევრობებად. იმპულსთა ეს თანამიმდევრობები ანხორციელებენ VT1 და VT2 ტრანზისტორების (დრაივერების) მართვას. ამ ტრანზისტორების კოლექტორობებისა და ემიტორების წრეები გახსნილია, ამიტომ გამოსახალი სიგნალი შეიძლება მოიხსნას როგორც პირდაპირ, ისე ინვერსული სახით. 343, ბ სურათზე ნაჩვენებია VT1 და VT2 ტრანზისტორების ემიტორებიდან მოხსნილი სიგნალების თანამიმდევრობები.

3.44 სურათზე წარმოდგნილია ორფაზა (push-pull) გარდამქმნელის სქემა, რომელშიც მართვის ფუნქციის შესასრულებლად გამოყენებულია TL494 მიკროსქემა.



სურ. 344. ორტაქტიანი ორფაზა (push-pull) გარდამქმნელი მართვის TL494 მიკროსქემის გამოყენებით

სქემის შემაობის არსი შემდეგში მდგომარეობას:

• დანის გადამწოდის R_{I_3} წრედში ჩართულია $R_{T_3} C_T$ ფილტრი, რომელიც ახდენს VT1, VT2 ძალური ტრანზისტორების კომუნიკაციის პროცესში აღმრული დაბრკოდებების შესუსტებას;

• გარდამწნელის გამოსასვლელზე მიღებული ძაბვის სიდიდე განისაზღვრება ფორმულით

$$U_{\delta} = U_{bd} \left(1 + R_1/R_2\right),$$

სადაც $U_{bd}=5$ ვ.

• მართვის იმპულსთა ჭრის პაუზის ხანგრძლივობის დაუქნება ხდება 0მს-ის მე-4 გამომყვანისა და საყრდენი ძაბვის წყაროს (0მს-ის მე-14 გამომყვანი) ჭრის მიერთებული ძაბვის R_{31}, R_{32} გამჭოფის საშუალებით;

• პაუზის ფარდობითი სიდიდე განისაზღვრება შემდგომ ფორმულის მიხედვით

$$D_{\delta} = \frac{t_{\delta}}{T} = \left[45 - 80 \left(\frac{1}{1 + R_{31}/R_{32}} \right) \right] \%,$$

იგი არ უნდა იყოს დამკვეთი გენერატორის გამოსავალი სიგნალის პერიოდის T 4%-ზე ნაკლები;

• დამკვეთი გენერატორის რხევების პერიოდის T დაფურება ხდება 0მს-ის მე-5 და მე-6 გამომყვანებითან მიერთებული R_T, C_T ელემენტების პარამეტრთა შერჩევის გზით.

• დამკვეთი გენერატორის რხევების სიხშირე

$$f_s = \frac{1}{T} = 1.1 / (R_T C_T) \leq 100 \text{ გპ.}$$

• გაუთანხმოების სიგნალის მაძლიერებლის სიხშირეზე კორექციისათვის გამოყენებულია იმს-ის მე-3 და მე-4 გამომყვანებს ჭრის მიერთებული გარეშე R_{δ}, C_{δ} ელემენტები;


• გარდამწნელის მდორე გაშვების მიზნით, პაუზის რეგულირების შესასვლელსა (0მს-ის მე-4 გამომყვანი) და საყრდენი ძაბვის წყაროს U_{bd} (0მს-ის მე-14 გამომყვანი) ჭრის ჩართულია C_{a_3} კონდენსატორი;

• მდორე გაშვების დროს მეშვეობის გასვლის დრო განისაზღვრება ფორმულით

$$t_{a_3} = 2C_{a_3}R_{32}.$$

ნახვრად ბოგური და ბოგური ორტაქტიანი გარდამწნელების ძალური გასასვლების მართვისათვის შექმნილია და პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სპეციალიზებული მიკროსკემი – დრაივერები.

345 სურათზე მოცემულია IR2113 ტიპის დრაივერული მიკროსკემის სტრუქტურული სქემა. ამ მიკროსკემას უშევბს ფირმა International Rectifier.



სურ. 345. IR2113 ტიპის დრაივერული მიკროსკემის ფუნქციური კვანძები

როგორც სტრუქტურული სქემიდან ჩანს, ორტაქტიანი დრაივერი შედგება ორი დამოუკიდებელი არხისაგან. დრაივერის გამოსასვლელებზე მიღება ბოგას ზედა (Ho) და ქვედა (Lo) დონის ძალური ტრანზისტორული გასასვლების მართვის ძაბვები. მიკროსკემის შესავალ სიგნალს წარმოადგენს მართვის სტანდარტული ამპლიტუდის ლიგიკური დონე დრაივერში შემავალი სიგნალი მიეწოდება შემოტკიცირებულ გაერტყოდ იმპულსთა მაფორმიტებლების. მიკროსკემის V_{ce} და V_{dd} გამომყვანების მიუერთდება ქვებავი წყაროს ძაბვა, ხოლო ძალური წრედისა და მართვის წრედის დამიტებული სალტენები (V_{ss} და V_{com} გამომყვანები) გაღვანებისად გართულია. მიკროსკემაში გათვალისწინებულია ძალური და მართვის წრედების განცალკევებითი კვებაც. მიკროსკემის გამოსასვლი კასკადები აგებულია ველით მართული ტრანზისტორების კომპლექტაციულ წყვილებზე.

დრაივერის ჩართვის ტიპური სქემა წარმოდგენილია 346 სურათზე.


მიკროსკემას დამატებული აქვს გარეშე სქემური ელემენტები:

C_1 და C_3 - დრაივერის ფილტრის კონდენსატორები;

C_4 - ძალური წრედის ძაბვის მფილტრაცი კონდენსატორი;


R_1 და R_2 - ძალური ველით მართული ტრანზისტორების საკეტის მიმდევრობით ჩართული რეზისტორები;

C_2 და $VD1$ - დრაივერის იმ ნახევრის ეკვივალენტური წყაროს კლუმპები, რომელიც განკუთვნილია ზედა დონის ტრანზისტორული გასაღების მართვისათვის.



სურ. 3.46. IR2113 დრაივერული მიკროსქემის ჩართვის ტიპური სქემა

მართვის ეკვივალენტური წყაროს მუშაობის არის შემდეგში გამოიხატება. როდესაც ჰქედა დონის ტრანზისტორული გასაღები ატარებს დენს, მაშინ ზედა დონის ტრანზისტორის სათავე მოუქრთდება საერთო სალტებს, $VD1$ დოოდი გაიღება და C_2 კონდენსატორი იმუხტება (სურ. 3.47, ბ).



სურ. 3.47. ეკვივალენტური წყაროს მოქმედების პრინციპის ასახვები: კონდენსატორი, როგორც ძაბვის წყაროს ეკვივალენტი (ა); C_2 კონდენსატორის დამუხტება გარეშე წყაროდან (ბ); C_2 კონდენსატორის განმუხტვა ზედა დონის ტრანზისტორული გასაღების მართვის კლუმპროდნე (გ)

როდესაც ჩაიკეტება ჰქედა დონის ტრანზისტორული გასაღები და იწყებს გადებას ზედა დონის ტრანზისტორული გასაღები $VD1$ დოოდი აღმოჩნდება ჩაკეტილ

მდგომარეობაში და ზედა დონის ტრანზისტორის მართვის წრედი მხოლოდ დამუხტებლი და მდგრადი დონის ტრანზისტორის მართვის წრედი მხოლოდ დამუხტებლი

C_2 კონდენსატორის განმუხტების დენით იკვებება (სურ. 3.47, გ).

3.4. სიმძლავრის კოეფიციენტის იმპულსური კორექტორები

3.4.1. სიმძლავრის კოეფიციენტი და მისი როლი იმპულსური კვების წყაროებში

სიმძლავრის კოეფიციენტი ა ეწოდება ვატუტრის მიერ გაზომილი ცვლადი და კულსირებული დენის აქტიური სიმძლავრის P ფარდობას მოჩვენებით (სურ. 3.47) სიმძლავრებთან S , რომელიც განისაზღვრება ვოლტმეტრისა და ამპერმეტრის მიერ გაზომილი მაბვისა და დენის მოქმედი მნიშვნელობების ნამრავლით

$$\alpha = \frac{P}{S} = \frac{P}{IU} . \quad (3.56)$$

წმინდა აქტიური დატყირთვის დროს $P = IU$, ე.ი. სიმძლავრის კოეფიციენტი მაქსიმალურია – $\alpha=1$.

როდესაც დატყირთვა არ არის წმინდა აქტიური ხასიათის, მაშინ სინუსოიდური ფორმის დენისა და ძაბვის შემთხვევაში

$$P = IU \cos \varphi , \quad (3.57)$$

ე.ი. $\alpha = \cos \varphi$, სადაც φ ქსელის ძაბვასა და დენს შორის ფაზური ძვრის კუთხეა.

კვრობაში საერთაშორისო კლემპტრიტექნიკური კომისიის (სურ.) მიერ შემუშავებულია სტანდარტი IEC-555, რომელიც აღგენს მოთხოვნებს კლემპტრონული აპარატურის მიერ ცვლადი დენის ქსელში წარმოქმნილი მაღალი რიგის პარმონიკების, დაბრკოლებებისა და ძაბვის რევენტების დონეზე. ამავე დროს, სიმძლავრის კოეფიციენტის მითხოვნილი მნიშვნელობის უზრუნველყოფა სავალდებულოა ნებისმიერი კლემპტრომოწყობილობისათვის, რომელიც ქსელიდან მოითხოვს 300 გტ-ზე მეტ სიმძლავრეს. მათ შორისაა: საფორცებოვრებო სელსაწყოები, სამდინცინო კლემპტრონული მოწყობილობები, მკროპროცესორები და კომპიუტერები, კლემპტრონული მაკონტროლებული აპარატურა, მეორეული კლემპტროკვების წყაროები.


ამგამად მოქმედებაში შედის სეპის ასალი სტანდარტი IEC-1000-3-2 (IEC-555-ის ნაცვლად), რომლითაც მკერრად არის გამაცარტებული მოთხოვნები კლემპტრონერგიის მომხმარებლების სიმძლავრის კოეფიციენტის ნორმებზე ამ სტანდარტის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა ყველა ფირმისა და ორგანიზაციისათვის, რომელთა კლემპტრონული პროდუქცია გადის საერთაშორისო ბაზარზე.

კარგადაა ცნობილი ქნერგიის ის მომხმარებლები, რომლებიც აუარესებენ სამრეწველო ქსელის სიმძლავრის კოეფიციენტს. ასეთ მომხმარებელთა ჯგუფის მიეკუთვნება: ინდუქციური ბალასტის შემცველი ლემინესცენციური ნათურები, იმპულსური კვების წყაროები ტევადობითი შესავალი ფილტრით და სხვა.


ზემოაღნიშვნულიდან გამომდინარე, უაღრესად აქტუალურია ამ მოწყიბილობების მიერ სამრეწველო ქსელიდან მოთხოვნილი სიმძლავრის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. ამ საკითხის გადაჭრის მიზნით შექმნილია სიმძლავრის კოეფიციენტის პასიური და აქტიური კორექტორები.

3.4.2. სიმძლავრის კოეფიციენტის კლეპტონული კორექტორები

პირველ რიგში გავარდეთ, თუ როგორი იქნება სიმძლავრის კოეფიციენტის სიდიდე იმპულსური კევის წყაროებში, რომელთა შესასვლელზე ჩართულია ტევადობითი მაგლუვებელი ფილტრი (ქსელის გამართველის ფილტრი). სიმარტივისათვის ჩავთვალით, რომ ქსელის გამართველი აწყობილია ნახევარპერიოდიანი სქემის მიხედვით (სურ. 3.48). თუ სქემიდან ამოვრთავთ ფილტრის C_2 კონდენსატორს, მაშინ დატვირთვაზე (იმპულსური გარდამქმნელის შესასვლელზე) იმპულსებს გამართველი ძაბვა, რომელსაც უქნება ნახევარსინუსოდის ფორმა. როგორსაც R_L -ს პარალელურად ჩართულია კონდენსატორი C_2 , მაშინ იგი იმუხტება დროის იმ მინაკვეთში, როცა VD დიოდი დაი მდგომარეობაშია. VD დიოდის და მდგომარეობაში გადართვას კი განაპირობებს ანოდზე მოქმედი ცვლადი ძაბვის დადებითი ნახევარტალიდის მეტს მნიშვნელობასა და კათოდზე მოქმედი კონდენსატორის ნარჩენი ძაბვის მნიშვნელობას შორის თანაფარდობა (სურ. 3.49). დოოდი გაიღება, როცა ანოდზე მოქმედი ძაბვის დადებითი მეტი მნიშვნელობა გადააჭარბებს კონდენსატორის ნარჩენი ძაბვის სიდიდეს. ამის გამო, დიოდისა და მაშასადამეტ, ქსელიდან მოთხოვნილი დენი წარმოსდგება სანოკლე იმპულსების სახით. ასეთი სქემის სიმძლავრის კოეფიციენტი არ არემატება 0,5...0,7. სიმძლავრის კოეფიციენტი რომ გაიზარდოს აუცილებელია ქსელიდან მოთხოვნილი დენის ფორმა მიუახლოვდეს სინუსოდას. ამ ამოცანის შესრულება დაკისრებული აქვს სიმძლავრის კოეფიციენტის კლეპტონულ კორექტორებს.




სურ. 3.48. იმპულსური წყაროების სიმძლავრის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის



სურ. 3.49. იმპულსური წყაროს ქსელის გამართველის გამოსავალი ძაბვისა და დენის ფორმები

3.50 სურათზე წარმოდგენილია სიმძლავრის კოეფიციენტის კორექტორის (სპ3) უმარტივესი სახის სტრუქტურული სქემა. სიმძლავრის კოეფიციენტის იმპულსური კორექტის იდეა შემდგები გამოიხტება. ქსელის გამართველის გამოსასვლელზე ტევადობითი ფილტრის ნაცვლად მიერთებულია ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორი. სტაბილიზატორის შესასვლელზე ჩართულია მცირე ინდუქციურობას მქონე დროსელი და იგი მუშაობს უწყვეტი დენის ზღვრულ რეჟიმში (ინდუქციურობაში გამავლი დენის უწყვეტი და წყვეტადი რეჟიმების სახლვარზე).




სურ. 3.50. სიმძლავრის კოეფიციენტის იმპულსური კორექტორის ტიპური ბლოკ-სქემა

ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის სქემა L დროსელის გარდა შეიცავს VT ტრანზისტორულ გასაღებს, VD დიოდსა და მაღლუვებელი ფილტრის კონდენსატორს. ძაბვის ამამაღლებელი იმპულსური სტაბილიზატორის მოქმედების პრინციპის თანახმად, VT ტრანზისტორის ჩართვისას (გაღებისას) ინდუქციურობაში წყვეტა დენის გავლა, რომელიც წრფივი კანონით იზრდება. ტრანზისტორის გამორთვის (ჩაკეტვის) შემდეგ L ინდუქციურობაში გამავალი დენი მცირდება ასევე წრფივი კანონით და VD დიოდის გავლით მუხტავს C_2 კონდენსატორს.

ტრანზისტორულ გასაღების ჩართვა-გამორთვას ანხორციელებს მართვის მოწყობილობა, რომელიც შედგება გამართველის გამოსავალი ძაბვის გადამზრდისაგან

(ზმდ), ინდუქციურობის ერთაში გამავალი დენის გადამწოდისაგან (დბ) და მართვის იმპულსების მაფორმირებელი სქემისაგან (შხ). მართვის იმპულსების ფორმირების პროცესი იღუშებრიორებულია 3.51 სურათზე ნაჩვენები დიაგრამებით. როგორც დიაგრამებიდან ჩანს, VT ტრანზისტორი ჩაირთვება დენის გადამწოდიდან მოხსნილი სიგნალის ნელოან გატოლების მომენტში (ე.ი. ინდუქციურობაში გამავალი დენი ეცემა ნულამდე). ტრანზისტორის გამორთვა კი მოხდება იმ მომენტში, როცა დენის გადამწოდიდან მოხსნილი წრფვი კანონით ზრდადი ძაბვა გაუტოლდება ძაბვის გადამწოდიდან მოხსნილი სინუსოდეული კანონით ცვალებადი ძაბვის მყის მნიშვნელობას. L ინდუქციურობის სიდიდე ისეა შერჩეული, რომ დენის გადამწოდება ძაბვის ზრდის სიჩქარე გაცილებით აღემატება გამართველის გამოსავალი ძაბვის მყის მნიშვნელობის ზრდის სიჩქარეს.



სურ. 3.51. სიმძლავრის კოუფიციენტის კორექტორში მომდინარე პროცესების დაგრამები

ტრანზისტორის გამორთვის შემდეგ L ინდუქციურობაში გამავალი დენი და, მაშასადამე, დენის გადამწოდიდან მოხსნილი ძაბვა, მცირდება წრფვი კანონით. როდესაც ეს ძაბვა ნედს გაუტოლდება VT ტრანზისტორი კვალვ ჩაირთვება და პროცესი მეორდება მაღალი სიხშირით.

ამგვარად, სქემის მიერ ქსელიდან მოთხოვნილი დენი წარმოსდგება ცვლადი ამპლიტუდის მქონე ხანძოებე იმპულსთა სახით. დენის იმპულსების ამპლიტუდათა მომცვლებს (წვეტილი წირი) აქვთ გამართველიდან სქემის შესავლელზე მიწოდებული ძაბვის (ამპლიტუდების მართლებული ძაბვა) ფორმა.

სიმძლავრის კოუფიციენტის კორექტორის სქემის მიერ მოთხოვნილი დენის საშუალო მნიშვნელობა $I_{\text{вх}}$ იცვლება სინუსოდეული კანონით და როგორც ფორმით, ისე ფაზით ემთხვევა სქემის შესასვლელზე მოქმედ ძაბვას (მართლებულ ძაბვას), როგორც ეს გაქვს

აქტიური დატვირთვის შემთხვევაში. აქვდან გამომდინარე სიმძლავრის კოუფიციენტის კორექტორი მაღალი სიმძლავრის კოუფიციენტის მიღების საშუალებას იძლევა.

სიმძლავრის კოუფიციენტის კორექტიის ამ შედარებით მარტივ მეორდს გააჩნია სურიოზული ნაკლი. როდესაც იცვლება სქემის შესასვლელზე ქსელის გამართველიდან მიწოდებული ძაბვა (ქსელის ძაბვის არასტაბილობის გამო), შეიცვლება დენის საშუალო მნიშვნელობაც (დენის იმპულსების ამპლიტუდის შეცვლის გამო). გარდა ამისა, ყორექტორის დატვირთვის წინაღობის ცვლილება გაფლენას ახდენს სქემის გამოსასვლელზე მიღებული ძაბვის სიღიდეზე, რადგან ინდუქციურობაში დაგროვილი წნევგის განმცხეტა დატვირთვის სხვადასხვა წინაღობის დროს სხვადასხვა სისწრაფით მოხდება. ზემოაღნიშვნიდან გამომდინარე, სიმძლავრის კოუფიციენტის კორექტორის სქემაში საჭირო ხდება დამატებითი ზომების მიღება გამოსავალი ძაბვის სტაბილიზაციის მიზნით. სიმძლავრის კოუფიციენტის ყველა თანამედროვე კორექტორი შეიცავს ძაბვის სტაბილიზაციის დამატებით კვნძებს.

350 სურათზე წარმოდგენილ სიმძლავრის კოუფიციენტის კორექტორის ბლოკ-სქემაში სტაბილური გამოსავალი ძაბვის მისაღებად გამოყენებულია დატვირთვის ძაბვის გადამწოდისა (დბ) და გაუთანხმოების სიგნალის მაღლიერებლის (შხ) კვანძები. დატვირთის ძაბვის გადამწოდიდან მოხსნილი ძაბვისა ($U_{\text{лж}}$) და საყრდენი (ეტალონური) ძაბვის სხვაობის პროპორციული სიგნალი ($U_{\text{вх}}$) გაუთანხმოების სიგნალის მაღლერებლის გამოსასვლელიდან მიეწოდება ძაბვის მართლებულ კვანძს. ამავე კვანძს მიეწოდება შესავალი ძაბვის გადამწოდიდან მოხსნილი ძაბვაც ($U_{\text{вх}}$).


მამარავლებლის გამოსასვლელზე მიღებული სიგნალი ტრანზისტორული გასაღების მართვის სისტემის გამოსასვლელზე აფორმირებს სანგრძლივობის მიხედვით მოდულირებულ იმპულსებს (განვითარებული მოდულაცია).

